# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოს გართობა ყველა უკადრისობაზე უსამარცხვინოესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 2 ივლისი, 2010 წელი.

№123 (6489)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




## სამუშაო ადგილები – ძეგლების მსხვრევის ხარჯზე
2

## ვითომ მოუხდის ბოდიშს სააკაშვილი ნოღაიდელს?
3

## ახალი კოდექსის განმარტებებით ხელისუფლება მოგებასა და ქონების დაგროვებას ებრძვის
5

## პალმის სარტყელი ვერიკოსთვის
3





## რა არის გადატვირთვის პოლიტიკა, რომელშიც მთავარ როლს აშშ ასრულებს
7

## აღარ დადგა დრო, ბატონო პრეზიდენტო, რომ ხალხზეც იზრუნოთ?
3

## 110 წლის აკაკი წერეთელი – ჩვენი თანამედროვე
6



## მცხეთა – ქართული ისტორიის სათავე
4





## გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზაცია გვაკლდა
5

# ერთიანი გამოცდები დაიწყო



**გუშინ ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო. ტესტები ეროვნული ბანკისა და „ლიბერთი" ბანკის საცავებიდან ცენტრებში საპატრულო პოლიციისა და უშიშროების სამსახურის მუშაკთა თანხლებით მიიტანეს.**

12 ქალაქში განთავსებულმა 15 საგამოცდო ცენტრმა აბიტურიენტთა რეგისტრაციას უმასპინძლა, ხოლო 9 საათზე პირველი გამოცდის პირველი სესია დაიწყო.

2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 36421 აბიტურიენტია რეგისტრირებული. გამოცდები ტარდება სიღნაღში, თელავში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში, ოზურგეთში, ფოთში, ზუგდიდში, ბათუმში, ხულოში.

საგამოცდო პროცესში მონაწილეობს 1300 მეთვალყურე და კულტურის, უშიშროების სამსახურისა და საპატრულო პოლიციის 30-მდე ბრიგადა.

ყველა საგამოცდო ცენტრში განთავსებულია სამედიცინო პუნქტი, ცენტრთან კი მორიგეობს სასწრაფო დახმარების მანქანა.

გახსნილია ერთიანი ეროვნული გამოცდების მედიაცენტრი. გამოცდები 23 ივლისს დასრულდება.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ეს ფოტოები პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან დილის 9 საათზე გადაიღო. აქ ყველა პირობაა შექმნილი როგორც მომავალი სტუდენტებისთვის, ასევე მშობლებისთვის. სკვერში დამონტაჟებულია ტელევიზორები, სადაც შეიძლება გამოცდებისთვის თვალყურის მიდევნება. აქვე იმყოფებიან სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები, ბროშურები და გაზეთები უფასოდ რიგდება, ხოლო სკვერში ცივი სასმელები და ნამცხვრები იყიდება...

ღელავენ მშობლებიც და აბიტურიენტებიც... მათ პირველი გამოცდა უკვე ჩააბარეს და მშობლებს მისი მიმდინარეობის შესახებ უყვებიან.

წინ გამოცდების ციებ-ცხელებით აღსავსე დღეებია...



**ნატა ნიბლაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

პარლამენტი

# როგორ განვითარდება ჯანდაცვა?

## კვიტაშვილი დეპუტატებს შეხვდა

***მთავრობაში მიმდინარე ცვლილებები შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს არ შეეხო, ყოველ შემთხვევაში ამ სამინისტროს ხელმძღვანელი ალექსანდრე კვიტაშვილი ჯერჯერობით თანამდებობას ინარჩუნებს და ჯანდაცვის სისტემაში გარკვეულ ცვლილებებსაც გეგმავს, რომლებსაც გუშინ პარლამენტში გამართულ ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებს აცნობდა. ალექსანდრე კვიტაშვილმა აქცენტი ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის მიმდინარეობაზე გააკეთა და სიახლეები დეპუტატებთან ერთად განიხილა.***

როგორც მინისტრმა განაცხადა, მთავარი მიმართულება ჰოსპიტალური სექტორის მშენებლობა იქნება, რასაც ტენდერში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანიები განახორციელებენ, თუმცა ამის პარალელურად არსებობს იდეა, რომლის მიხედვითაც, საავადმყოფოების, რომლებიც სახელმწიფო მართვაშია, მენეჯმენტის დაგეგმვას კერძო, გამოცდილ კომპანიებს მიანდობენ, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ იდეაა და სხვა კონკრეტული დეტალები ცნობილი არ არის, ამიტომ მინისტრსაც არ დაუკონკრეტებია, თუ როდის დაიწყება ამ მიმართულებით მუშაობა.

— **სახელმწიფო მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტი, შესაძლოა, უცხოურ კომპანიებსაც გადავცეთ,** — აღნიშნა **კვიტაშვილმა.**

მინისტრთან შეხვედრისას ოპოზიციის წარმომადგენლები „ბლოკ ჯორჯიას“ მფლობელობაში არსებული საავადმყოფოების რაოდენობის საკითხით დაინტერესდნენ. მინისტრმა განმარტა, რომ „ბლოკი ჯორჯია“



დედაქალაქში არც ერთ საავადმყოფოს აღარ ფლობს. მისივე განმარტებით, თბილისში მე-8 საავადმყოფოსა და მე-5 სამშობიაროში შიდა აუდიტი მიმდინარეობს, რათა დაათვალიერონ „ბლოკ ჯორჯიას“ დანახარჯები და შემდეგ ეს თანხა ჯამებში გაიქვითება. რაც შეეხება რეგიონებს, ზოგიერთ რაიონში „ბლოკ ჯორჯიას“ მმართველობაში ისევ აქვს საავადმყოფოები სადაზღვევო კომპანიებთან ერთად და, შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც მათთან ერთად ინაწილებს.

ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა გია ცაგარეიშვილმა იკითხა: რეალურია თუ არა ინფორმაცია, თითქოს „ბლოკ ჯორჯიას“ მე-8 საავადმყოფო და მე-5 სამშობიარო ბანკში იპოთეკით ჰქონდა ჩადებული. ალექსანდრე კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

ჯანდაცვის კომიტეტის სხდომას მინისტრთან ერთად ღუდუშაურის საავადმყოფოს გენერალური დირექტორი ზაზა სინაურიძეც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი მართვის უფლებით ბრიტანულ კომპანიას გადაეცა, მაგრამ კლინიკა სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბრიტანულ მხარესთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. სინაურიძის მტკიცებით, აღნიშნულ კომპანიას საბაზრო ეკონომიკის პირობებში კლინიკების მართვის კარგი გამოცდილება აქვს და იგი მენეჯმენტს მსოფლიოს 47 საავადმყოფოში ახორციელებს.

სხვა საკითხებთან ერთად პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში სკოლის მანდატურების მინიმალური ასაკის ზღვარითაც დაინტერესდნენ. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იმ ფაქტს, რომ მანდატურების მინიმალურ ასაკად 20 წელია განსაზღვრული. ეს კანონპროექტი (ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ) პირველ მოსმენაზე ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე მოხვდა. კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძემ აღნიშნა, რომ კანონპროექტს პირველი მოსმენით მხარს დაუჭერს, თუმცა მეორე მოსმენისთვის მათ არაერთი შენიშვნა ექნებათ.

— შეუძლებელია 19 წლის ბიჭებთან წესრიგის დასამყარებლად 20 წლის ადამიანი შეუშვა, — განაცხადა თოიძემ და იმედი დაიტოვა, რომ კომიტეტის შენიშვნას გაითვალისწინებენ.

ასე რომ, შეიძლება ითქვას — გუშინ ჯანდაცვის კომიტეტმა მინისტრთან შეხვედრისას ნაყოფიერად იმუშავა და თავისი შენიშვნების და ინიციატივების განსახილველად და მისაღებადაც მზადაა. დეპუტატების აზრით, კარგი იქნება, თუ მინისტრები და მთავრობის სხვა წევრები უფრო ხშირად შეათანხმებენ თავიანთ გადაწყვეტილებას პარლამენტთან, რაც ეფექტიანი მართვის ძირითადი საფუძველია.

**ანა წიწილაშვილი**

გუშინდელი ფოსტიდან

**ამ ბოლო დროს იმდენი რამ უცნაურობა ხდება ჩვენს ისედაც გაუცნაურებულ ცხოვრებაში, რომ ყველაფრისთვის თვალის მიდევნება ნამდვილად ძნელია. კარგია, რომ თქვენი გაზეთი ბევრ რასმე დროზე და სწორად „უკაკუნებს“. თანაც ეს „კაკუნი“ თქვენს მკითხველებს ეკუთვნით, რომელთა გულიდან ამოძახილს „გუშინდელი ფოსტის“ რუბრიკით აქვეყნებთ. გვეყო ამ ჩვენი უშნოდ გაფილოსოფოსებული პოლიტიკოს-ექსპერტების უაზრო ორაკულობა და წინასწარმეტყველებანი (სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ბარნოვისა და შარაშიძის დასახელებაც კმარა). მომწონს, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე თვითონ ხალხმა ამოიღო ხმა და სწორად აფასებს ბევრ უმსგავსობასა და უგუნურობას, რაც უწინარესად ხელისუფლების მხრიდან ხდება ყოველდღიურად.**

# გამოსავალი: სამუშაო ადგილები – ძეგლების ნგრევის ხარჯზე...



ამ უმსგავსობათა და უგუნურობათა ჩამოთვლა კი, როგორც იტყვიან, ძალიან შორს წაგვიყვანდა. თუნდაც, რამდენიმეს გავიხსენებ. უპირველესად თვითონ „სამშობლოს“ შენობიდან თქვენი, ჟურნალისტების, დანაშაულებრივად გამოყრის ფაქტს, ანდა რას ჰგავდა მწერალთათვის და კომპოზიტორთათვის ოდინდელი შენობების წართმევა, თაბუკაშვილის ქუჩაზე კერძო ცამეტსართულიანი სახლის მიწასთან გასწორება და პრეზიდენტის ამასწინანდელი უპირისწყლო შეფასება — ქალაქის მერს ჯილდო ეკუთვნის ამ სიმახინჯის დანგრევისთვისო. არადა, მან ყველაზე კარგად უწყის, რა ძაღლის თავიც ემარხა ამ საქმეში... ეს უცებ, რაც მომაგონდა.

დღემდე ვერ გამიგია, რას ერჩოდა ეს ჩვენი ვითომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ქართული მითოლოგიის მსოფლიო მნიშვნელობის პერსონაჟს, იქნებ თვითონ პრომეთეს პროტოტიპს, ჩვენს დიდებულ ამირანს, ჩინებული მოქანდაკის ვახტანგ ონიანის ნახელკეთილარს, რომელიც სიღნაღიდან თითქმის მთელ ქიზიყს გადასცქეროდა. ასევე გაუგებარია ჩემთვის მერაბ ბერძენიშვილის მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის ოზელისკის აფეთქება, რასაც უდანაშაულო დედა-შვილის დაღუპვა მოჰყვა, რისთვისაც ჯეროვანი პასუხი დღემდე არავის არ უგია. აღარაფერს ვამბობ დავით აღმაშენებლის ძეგლის „მოგზაურობაზე“ და თვითონ „პრომეთეს“ თბილისის ცირკის მიდამოებიდან, როგორც ამბობენ, ბორჯომში „გაქცევაზე“... ჩანს, ცეცხლის გმირისთვის ჩვენმა ცეცხლოვანმა პრეზიდენტმა უფრო გრილი ადგილი შეარჩევინა...

როგორც ამ ბოლო დროს ჭორად დაირხა თუ სიმართლემ გამოჟონა ავლაბრის უთეთრესი სასახლიდან, მალე პატარა კახად წოდებულ მეფე ერეკლესაც, თელავში ამხედრებულს, გეორგიევსკის გზას გაუყენებენ. აბა, რა ეგონა, რუსეთის ხელმწიფესთან მეგობრობის ტრაქტატს რომ აწერდა ხელს და, მიუხედავად თავისი შორსმჭვრეტელობისა, ვერ გაითვალისწინა ორასი წლის შემდეგ საქართველოში დემოკრატიას ვარდების ხელისუფლება რომ მოჰყვებოდა, რომელიც „რკინის ცოცხით“ გამოჰგვიდა ჩვენს „რუსულად დაბინძურებულ“ წარსულს.

თუმცა, ერეკლეს წინასწარმეტყველება რა მოსატანია, როცა საქართველოში ვარდების რევოლუცია თვითონ ყველა დროის ყველაზე დიდმა დიქტატორმა სტალინმაც ვერ გაითვალისწინა, როცა ჯერ კიდევ სოსელო იყო და, ვარდს გაეფურჩქნა კოკორიო, დაწერა. გაეფურჩქნა, გაეფურჩქნა და, რაც ამ „გაფურჩქნილმა ვარდის კოკორმა“ უწინარესად ჩვენ და ახლა თვითონ ამ დიქტატორის ძეგლს დამართა, აშკარა და ნათელია. მალე, ალბათ, მუზეუმსაც რუსული ოკუპაციის სამარცხვინო მუზეუმის „ოკუპაციაში“ მოაქცევენ, თუ საერთოდ არ აღგავეს პირისაგან გორისა...

მაგრამ ძეგლების ამ ნგრევა-აღება-გადატანა-გადმოტანამ ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაური რამ აზრი ჩამისახა. ეს აზრი კი განსაკუთრებით განმიმტკიცა ჩვენი ვითომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის ნამხედრიონალი მინისტრის რურუას, ნიკანიკოლოზის, ჯერ განცხადებამ და ახლა უკვე რეალობამ, რომ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ ავტორის ნაძეგლარზე დაიდგმება მემორიალი, რომელიც ზოგადად რუსეთ-საქართველოს ერთდღიან ომში და სტალინის რეპრესიების შედეგად დაღუპულებს მიეძღვნება. და, რაც მთავარია, ეს უსახელო გმირთა მემორიალი ერთადერთ გამოკვეთილ, კონკრეტულ სახეს — პრეზიდენტის ცოლეურის ქვეყნიდან, ანუ ჰოლანდიიდან ამ ომში ჩამოსული და დაღუპული ჟურნალისტის სტორიმანის ხსოვნას მიაგებს პატივს (აი ცოლეურის სიყვარულიც ამასა ჰქვია!ძ.

რაც შეეხება ჩემს ზემოხსენებულ უცნაურ აზრს, ბარემ გეტყვით, რასაც ვგულისხმობ... ეს არდალოცვილი დიქტატორი სტალინი, ჩემი აზრით, ადრე თუ ღარიბების გულისთვის ათასგვარ ბოროტებას სჩადიოდა და სიკეთისთვის მხოლოდ ბოროტებიდან ბოროტებამდე იცლიდა, ახლა, უკვე ძეგლად ქცეული, ბევრს, მაგალითად, ნაციონალებს, ამდენი „კეთილი საქმის“ ქმნის საშუალებას აძლევს. აი თუნდაც გორში თავისი ძეგლის აღებით და აქ სხვათა მემორიალის დადგმით, რასაკვირველია, მეტი ფასი და პატივი ედება ამ სხვათა ხსოვნას — აქ ანტიგმირი იდგა, ახლა უსახელო გმირთ აუნთებენ სანთლებს (ეს რა პატარა საქმეა!..ძ.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ როგორც თვითონ სტალინის ძეგლის აღებასა და კვარცხლბეკის დანგრევაზე, ისე ამ ადგილას ახალი მემორიალის აღმართვაზე მუშახელია საჭირო. აბა, თვითონ ნაევროპალ-ნაამერიკალი პრეზიდენტი და მინისტრი ხომ არ დაისვრიან ხელებს!

ის თუ არ ვიცით, რამდენმა მუშამ იმუშავა ძეგლის აღებასა და პოსტამენტის დანგრევაზე და რა დაჯდა ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის ეს გადაუდებლად საჭირო იდეოლოგიურ-პოლიტიკური აქცია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ასაშენებელი მემორიალის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 300 ათას ლარია, თვითონ კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი კი 10 ათას ლარს მიიღებს.

აი, ხედავთ, როცა პირდაპირ არ გამოსდის პროლეტარიატის „დამხობილ“ ბელადს ამ ყელიჭრა უმუშევრობის ჟამს ულუკმაპუროდ დარჩენილი ასი ათასობით მშრომელი ადამიანის დახმარება და ხელის აპყრობა, რა გორულ ეშმაკობას იყენებს?! ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად ანგრევინებს საკუთარ ძეგლს ჩვენი დროის „წინაპარჭამიებს“ და, ჩვენი მდგრადი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან განსხვავებით, თავისი ნგრევის ხარჯზე ათობით და ასობით სამუშაო ადგილს ქმნის.

ისე კაცმა რომ თქვას, თუკი ძეგლების „რეპრესიებს“ გარკვეულწილად შეუძლიათ მშიერი ადამიანებისთვის სამუშაო ადგილების გაჩენა, თუნდაც სულ მცირე ხანს, როცა სხვა არაფერი სახსარი არ ჩანს, რატომ უფრო აქტიურად არ უნდა ვიყენებდეთ ამგვარ „რეპრესიებს“?!. თანაც, სხვა არა იყოს რა, ცოტა აზრს მაინც შევუცვლით ამ საშინელ სიტყვას!.. არადა, საბედნიეროდ, ამ ჩვენს თავისუფალ, მარტო სააკაშვილზეღა დამოკიდებულ (ადრე აკი მთელ პოლიტბიუროზე ვიყავით დამოკიდებულნიძ, დემოკრატიულ საქართველოში დასანგრევ ძეგლებს რა გამოლევს?!

**მანუჩარ მალალაშვილი,**
არქიტექტორი
გურჯაანი.

ოპოზიცია



# გუბაზ სანიკიძე: ფორუმისა და ლეიბორისტების გარდა, არც ერთი პოლიტიკური პარტიის უკან ძალა არ დგას

## ვითომ მოუხდის ბოდიშს სააკაშვილი ნოღაიდელს?

**„სვანმა ჩინელი მოკლა, რაღაც ეჭვის თვალით მიყურებდაო“, — ეს ანეკდოტი გუბაზ სანიკიძემ ჟურნალისტებს პრესკონფერენციის დაწყებამდე მოუყვა, ეტყობა, ძალიან მოეწონა და იმიტომ, თუმცა, არ მეგონა ამ მონაყოლს რამე კავშირი თუ ექნებოდა პასუხებთან, მაგრამ, თურმე, ბუნებაში ულოგიკოდ არაფერი ხდება...**

**კავკასიის ინტერნეტ მედია კლუბს** ფორუმის ლიდერი მასპინძლობდა. გუბაზ სანიკიძე, ბუნებრივია, სიამაყით შეეხო ფორუმის ამასწინანდელ კონფერენციას, სადაც უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი და აღნიშნა, ფორუმისა და ლეიბორისტების გარდა, არც ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის უკან ძალა არ დგასო. არ დაასახელა, მაგრამ, სავარაუდოდ, არჩევნებში მეორე ადგილზე გასული „ალიანსი საქართველოსთვის“ იგულისხმა; კონკრეტულად ირაკლი ალასანია, რომელიც სწორედ საკუთარი პოლიტიკური სტრუქტურისა და ორგანიზაციების გაძლიერების მოტივით გამოეყო ალიანსს. **„არჩევნების შემდეგ გამოაცხადეს, რომ ახლა იწყებენ პოლიტიკური პარტიის მშენებლობას. ანუ ცვლილებების სურვილი მაღალია, მაგრამ საამისო ძალა არ აქვთ“,** — აღნიშნა სანიკიძემ.

ვითარება გაცილებით გაადვილდება, თუ ოპოზიციური სპექტრი დაირაზმება, რადგან სააკაშვილს ერთი ან ორი ძლიერი პოლიტიკური სუბიექტი მოერევა და არა ათი, — მიიჩნევს გუბაზ სანიკიძე, რომელიც შემოდგომაზე მძლავრი საპროტესტო მუხტის აგორებით იმუქრება, საამისოდ პარტნიორებსაც ეძებს და აბსოლუტურად გამორიცხავს ყბადაღებულ „მინუს ნოღაიდელის“ ფორმულას. ყოფილი პრემიერის ფაქტორს სანიკიძე განსაკუთრებულად შეეხო: **„სააკაშვილმა ორი დღის წინათ თქვა, უპირობოდ უნდა ველაპარაკოთ რუსეთსო, არადა ამის გამო ზოგიერთ ოპოზიციონერს მწარედ ლანძღავდა და მოღალატეებს უწოდებდა. კეთილი ინებოს, გამოვიდეს სააკაშვილი და ნოღაიდელს ბოდიში მოუხადოს,** — აღნიშნა მან, — **მაგრამ ის არ არის რუსეთთან დამლაპარაკებელი. სტალინის ძეგლი იმიტომ კი არ მოგლიჯა, რომ რუსეთთან ლაპარაკი ან დემოკრატია უნდა, პირიქით, ვითომ დასავლეთს დაანახვა, მაგარი ვარო“,** — დასძინა ოპოზიციონერმა.

სანიკიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილს სერიოზული საგარეო პრობლემები აქვს: **„ხელისუფლებამ გაზსადენი არასაპრივატიზაციო ობიექტებიდან ამოიღო. ეს ნიშნავს, რომ ის ახლა გაზსადენს რუსეთს მიჰყიდის. ირანისა და რუსეთის ენერგოტრასის გადაბმა კი იმას ნიშნავს, რომ გლობალური პოლიტიკა შეიცვლება. სააკაშვილს ფული შემოაკლდა და ახლა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებლობაზე ფიქრობს, მაგრამ ფაქტია, რომ ამით პრობლემებს შეიქმნის ამერიკასთან. საკმაოდ მძიმე და სერიოზული საუბარი მოუწევს მას ჰილარი კლინტონთან. ვითარება გაგვირთულდა ირანთანაც. ჯერ დაპატიჟა ირანის პრეზიდენტი საქართველოში და მერე თქვა, არ დამიპატიჟებიაო. უნდა ნახოთ, რას წერს ჩვენზე ირანული პრესა“...**

რთული საგარეო ორიენტირებიდან გამოსავალი, მხოლოდ არსებული ხელისუფლების შეცვლაა, ასე ესახება პოლიტიკური ვითარების გამოსწორება ფორუმის ერთ-ერთ ლიდერს, მაგრამ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა და დანიშვნა, მას უწინდელი მწარე გაკვეთილებიდან გამომდინარე, გამოსავალი არ ჰგონია. მით უმეტეს, რომ **„სააკაშვილი დღეს ოპოზიციის უპრინციპობაზე დგას... თუმცა როდის მიაწვა, რო?!“** — დასძინა სანიკიძემ.

ფორუმის პრინციპული მოთხოვნა, რომელსაც შემოდგომაზე აქტიურად წაუყენებს ხელისუფლებას, ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორს — ბიომეტრიული პასპორტების შემოღებას შეეხება. **„ან წამოვა ამ მოთხოვნაზე ხელისუფლება, ან ფორუმი შეკრებს მხარდამჭერებს და სერიოზული მღელვარებისთვის ემზადება. ვინც ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან, იმ პოლიტიკურ ძალას გადავუვლით, დანდობა არ იქნება. საარჩევნო გარემოს შეცვლა — დღეს ეს არის მთავარი განმსაზღვრელი და ტესტი ხელისუფლებისთვის, ოპოზიციისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც“,** — იმუქრება ფორუმელი.

საინტერესოა, რატომ? ხელისუფლებამაც არაერთხელ აღნიშნა, რომ ის მზად არის, იმუშაოს საარჩევნო სისტემის გასაუმჯობესებლად. როგორც ითქვა, საერთაშორისო საზოგადოებაც პრინციპულად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან ბიომეტრიული პასპორტების შემოღებას. იქნებ აპირებს კიდეც სააკაშვილის გუნდი, დათანხმდეს ოპოზიციის მოთხოვნას, ან სულაც შემოდგომამდე, ზაფხულშივე თავად შემოგვთავაზოს ეს „ინიციატივა“?! საარჩევნო კოდექსი აუცილებლად მოითხოვს გულისყურით მუშაობას და, შესაბამისად, დროს, რაც შესაძლოა 2012-13 წლებამდე გაიწელოს და ამით ხელისუფლებამ დრო მოიგოს. ანუ შეიძლება ხელისუფლება სრულიად მშვიდი ტონით დათანხმდეს ოპოზიციის მოთხოვნას. ფორუმელები კი გულზე მჯიღს იცემენ და დაჟინებით იმუქრებიან... თუ ანეკდოტის სვანი გმირივით ეჩვენებათ, რომ ხელისუფლება რაღაც ეჭვიანი თვალებით იყურება?!

**თეა მოსია**

რეპლიკა

# დრო დადგა, ხალხზე იზრუნოთ, ბატონო პრეზიდენტო!

**ამას წინათ პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას მივწერე , რომ პენსიები უნდა გაიზარდოს არა მხოლოდ სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, არამედ სამეცნიერო ხარისხის მიხედვითაც, მაგალითად პროფესორს დაენიშნოს არანაკლებ 300 ლარისა, აკადემიკოსის პენსია კი 500 ლარი უნდა იყოს და ა. შ.**

ცხადია, არც პრეზიდენტი, არც მთავრობა ჩვენს წერილებს არ კითხულობს, ამიტომ კანცელარიის ჩინოვნიკები ამ წერილებს აწერენ უფრო დაბალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებიც სწორად გვპასუხობენ, რომ ისინი არ არიან კომპეტენტური ამ საკითხებში, რასაც ჩვენ ვითხოვთ. აი, რა პასუხი მივიღე ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოდან ბატონ მ. წამალაშვილის ხელმოწერით: **„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებული თქვენი წერილის პასუხად, რომელიც ეხება პენსიის ოდენობის განსაზღვრას, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ პენსიების ოდენობა განსაზღვრულია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით და მის შესაბამისად ღებულობთ ასაკის პენსიას, თვეში 80 ლარს, რასაც ემატება 10 ლარი შრომის სტაჟისთვის.**

**სააგენტო მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად და საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით არ სარგებლობს“.**

მართალია ბატონ წამალაშვილის პასუხი ვერაფერი წამალია ჩვენთვის, მაგრამ ის სწორად მწერს, რომ მას ეს საკითხი არ ეხება. პრეზიდენტს რომ მოეწერა ჩემთვის, რომ სწორია დასმული საკითხი და მთავრობა გაითვალისწინებს სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებისათვის შესაბამისი პენსიების დანიშვნასო, ეს იქნებოდა ადეკვატური პასუხი ჩემს განცხადებაზე.

როდესაც სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტის აპარატში დავრეკე და მიღება მოვითხოვე კომპეტენტურ პირებთან და პრეზიდენტთან, მიპასუხეს ასევე არაადეკვატურად, რომ **აქ მოქალაქეებს არ ღებულობენ, თუ გნებავთ, ქვევით ჩამოვლენ თქვენთან სასაუბროდო.**

ბატონო პრეზიდენტო! წერილს რომ ვღებულობ სახლში თქვენი ხელმოწერით და ბოდიშს მიხდით მიზერული პენსიისთვის, ან ჭიქებს რომ მიგზავნით და მილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს (რაც ძალიან მახარებს და ეს საჩუქარიც მეტად დასაფასებელია,, ეს ჭიქა სპეციალურ ადგილას მიდევს სერვანტში და ჩემს თუთიყუშთან ერთად ვიძახი: პრეზიდენტმა მაჩუქა-მეთქი), ამას არ სჯობდა, პენსია გაგეზარდათ იმ რაოდენობით, რომ ქაღალდის ყიდვა მაინც შემეძლოს გაზეთებში რეპლიკების საწერად? ან ერთხელ მაინც მოგსურვებოდათ ჩემთან შეხვედრა ან მე შემძლებოდა თქვენი სასახლის დათვალიერება იმ ბავშვებთან ერთად, რომლებიც ძალიან მიყვარს თქვენსავით, რადგან პროფესიით პედიატრი ვარ და მათ ჯანმრთელობას 40 წელი ვემსახურე, ასობით ბავშვი სიკვდილს გადავარჩინე, 65 პროცენტით დავაქვეითე ერთ-ერთ რაიონში ბავშვთა ლეტალობის მაჩვენებელი და იაპონიის დონეს გავუთანაბრე (!! ერთეულამდე)? ამერიკის შეერთებულ შტატებში ალბათ ამისთვის დიდ პრემიას მომცემდნენ. აქ კი წერილზეც ვერ ვღებულობ ადეკვატურ პასუხს და მხოლოდ აბდაუბდას ვისმენ. ეს ნონსენსი უკვე მოსაბეზრებელია...

**დადგა დრო, ბატონო მიხეილ, ხალხზე იზრუნოთ, თორემ თუ მშივრები დავიხოცეთ, ხალხი აღარ იქნება და სრასასახლესაც სხვები დაეპატრონებიან.**

**კარგი იქნება, თუ წაიკითხავთ.**

**პატივისცემით**

**მამია მდინარაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ესტაფეტა

# პალმის სარტყელი ვერიკოსთვის

**მიჭენაობენ, მიჰქრიან წლები, ჩვენც მათთან ერთად მივქრით ქარდაქარ.**

გასული მსოფლიო ჩემპიონატიდან ზუსტად 4 წელი გავიდა. ჩაილრიანცელა მაშინდელმა ცხარესაფეხბურთო ბატალიებმა და მახლოვროვაში გამორჩეულ მატჩებთან ერთად კლუბებად დასეგმენტებული თბილისელი თინეიჯერები ფანებისა და მათზე ასაკოვანი, ოღონდ არანაკლებ ჩერჩეტი მოქალაქეების ტინგიცი და „ჰაი-ჰუი“ ჩაგვრჩა.

განსაკუთრებით მაშინდელმა აღმატებულმა სახელმწიფო მოღვაწემ გიორგი არველაძემ დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება, როგორც კოტ დივუარის (?!ძ ფანკლუბის შემქმნელმა და მთავარმა მოღრიანცელემ. ეს თვალებამოციებული, შრიალით მოლაპარაკე კაცი ისე გაფანდა, ისე გაკოტდივუარდა, რომ მის შემხედვარეს ცხვირში რგოლის გაყრა და მიზანში შუბის ტყორცნა მოგინდებოდა.

ოღონდ დასამალი არც ის არის, რომ აფრიკის ეს ნამცეცა ქვეყანა, ადრე სპილოს ძვლის ნაპირი რომ ერქვა, არველაძემდე იქნა სახელგანსმენილი საქართველოში. ამას იმან შეუწყო ხელი, რომ მანამდე რამდენიმე თვით ადრე კოტ დივუარის საპატიო კონსული (?!ძ ერმილე თორთლაძე დააპატიმრეს (ნარკოტიკებით ბარიგობის ბრალდებითძ თბილისში.

ამ ჩვენს ოთხმილიონიან რესპუბლიკაში მაშინ კაციშვილმა ვერ გაიგო, საიდან მოხვდა ეს ერმილე კოტ დივუარში, რა მანქანებით მიიღო საპატიო კონსულის წოდება და რატომ მაინცდამაინც იმ ქვეყნის ფანობაზე გადაიჭრა ვენები საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი არველაძემ, იმ ფანკლუბში სამი კაცის იჯრა ლუდს რომ სვამდა ყოველდღე მოკალულივით და 10 კაცის სამყოფს რომ ღრიანცელობდა.







და აი, 4 წელმა ელდასავით ჩაიქროლა, ისევ მოვიდა დიდი საფეხბურთო ზეიმი. თქვენ წარმოიდგინეთ, არველაძის გასახარად კვლავაც მონაწილეობდა კოტ დივუარი მსოფლიო პირველობაში. და კვლავაც კეთილშობილი შიშით ველოდით, როდის გამოყოფდა მურით შეფერადებულ ცხვირ-პირს პატივცემული გიორგი უახლესი საფანკლუბო ლუდხანიდან და საკბენად მოგვეტანებოდა. მაგრამ წლეულს რატომღაც უარი თქვა ამჯერად ტელეკომპანია „იმედის“ დიდმა პრიმასმა თავის სიჭაბუკის ოცნების ქვეყანაზე, აღარ უფანა. ოღონდ, ეს იქნებ ფანდი იყო, შეიძლება სახალხოდ, თავქარიანი გოგობიჭებისგან საჯაროდ იზოლაციის მიზნით გააკეთა, თორემ კაბინეტში ან ოჯახში მარტოდ შთენილი, ალტერ ეგოს რომ ჩაუკოტდივუარდებოდა, იქნებ სულაც პალმის ფოთლების სარტყელს შემოიცვამდა ხოლმე შარვლის ნაცვლად და ფანჯრის ფარდებზე ქანაობდა? ვინ იცის!..



კვლავ გავა ოთხი წელი, კვლავ მოვა მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი. შეიქმნება ახალი ფანკლუბები და თუ მანამდე მდგრადად იქნა მინისტრად, იქნებ ვერიკო ქობალიაც ვიხილოთ რომელიმე გამორჩეულად ეგზოტიკური ქვეყნის მაგალითად, ბურკინაფასოს, ან გვინეა-პაპუას მგზნებარე გულშემატკივრად. იმედია, გიორგი არ დაინანებს და მას ესტაფეტად უშურველად გადასცემს თავის საგულდაგულოდ გადანახულ პალმის ფოთლების სარტყელს.

არ მოუხდება თუ!

**სანდრო ალექსიძე**

მცხეთა

# ერის ისტორიის თავფურცელი

**დღეს არ არსებობს ისტორიის ქარტეხილებგადატანილთა შორის მცხეთაზე უძველესი ქალაქი საქართველოში. იბერიის მეფეთა უპირველეს საბრძანებელს, მისი გმირული მატიანის თავფურცელს, მამა-პაპათა დასაფიცარს განსაზღვრული აქვს გზა, რომელზეც თაობებმა უნდა იარონ, რადგან მცხეთაში ჩამოყალიბდა ქართლოსიანთა სახელმწიფო, იგია მისი ანბანის სამშობლოც. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, წარმართობის დროს, აქ იდგა არმაზის, გაცის, გაიმის, ნანას, დანანას, ზადენის, აფროდიტეს კერპები.**

მცხეთის ემბაზში განინათლა ქრისტიანული სარწმუნოება და საუკუნეთა მანძილზე მისი მეაკვნეც იყო და ზაირაღტარიც. მცხეთაში იჯდა კათოლიკოსი, იმერ-ამერისა, სვეტიცხოველში ლოცვა-კურთხევას აღავლენდა უწმინდესი. მცხეთაში იხარშებოდა და იხარშება მირონი მთელი საქართველოსთვის. დედამონასტერს შემორჩა ხმა მავედრებელი წმინდა ნინოსი, მცხეთის ზარები ამცნობდნენ ერს ჩვენს სულიერ სიმტკიცეს. ვერანაირმა მტარვალმა ვერ დაადუმა მისი ხმა. მართალია კოჭლმა ტირანმა დაანგრია სვეტიცხოვლის გუმბათი, ძირები შეაჭრა სვეტებს, მაგრამ ვერც მან გატეხა ქართული რწმენა ჩვენი ქრისტიანული. ჟამთა სვლა ვერას აკლებდა მამა-პაპათა მრწამსს, ისევ და ისევ სვეტიცხოველში იდგამდა გვირგვინს ქართველი მეფე, მისსავე საკურთხეველში ხდებოდა მირონცხება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა, რადგან აქ არის კვართი ქრისტესი, ხალენი (მოსასხამი) ილია წინასწარმეტყველისა, რადგან სამთავროსთან მაყვლიანში აღავლინა ნინო კაბადოკიელმა პირველი ლოცვა, რადგან ზედაზენზე იღვწოდნენ „ათორმეტი“ ძმანი ნეტარხსენებულნი, აქვე განისვენებს წმინდა რაჟდენი, ევსტათი მცხეთელი და აბიბოს ნეკრესელი, მარიამ დედოფალი, ანტონ კათალიკოსი. ქეთევან წამებულის ბავშვობაც ხომ აქ, ამ უწმინდეს მიწაზე დააბიჯებს.

მცხეთა სამშობლოა ფარნავაზისა, ფარსმანქველისა, პეტრე და ბაკურ იბერიელებისა, მირიანისა, ვახტანგ გორგასლისა. მცხეთის წმინდა მიწაში განისვენებს ოცდაექვსი ქართველი მეფე, მათ შორის: ფარნავაზი, დავით ულუ, დიმიტრი თავდადებული, ალექსანდრე დიდი, სვიმონ I, მეფე ერეკლე.

აქ აღუდგნენ წინ პომპეუსს და გმირობით გააკვირვეს ბევრის მნახველი რომაელები. აქ, დიდგორთან, მოიპოვა სახელოვანი გამარჯვება „ძლევაი საკვირველი“ დავით აღმაშენებელმა, აქ, წიწამურთან, დაამარცხა თეიმურაზ პირველმა შაჰ-აბასის სარდალი ალი ყულიხანი, ქსანთან გაავლო მუსრი სპარსთა ლაშქარს გიორგი სააკაძემ, აქ, არაგვისპირთან, გაჰკვეთა ხმლით ერეკლემ ლეკთა ბელადი მალაჩი.

მცხეთის თითოეული კუთხე-კუნჭული ერის ისტორიის თავფურცელია, და მისი დავიწყების უფლება არავისა აქვს, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ, შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ. და, რა სასიხარულოა, რომ 2009 წელს ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა და 2010 წელსაც გრძელდება მცხეთის რესტავრაცია-კეთილმოწყობა.

სვეტიცხოვლის გარშემო სახე ეცვლება სახლებს, გალავნებს, ჭიშკრებს, აივნებს. მართლაც რომ შესანიშნავი საქმე კეთდება. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ქალაქში არ არის მისანიშნებლები, მემორიალური დაფები, კაპიტალური კომპოზიციები, თვალსაჩინო აგიტაციის მატარებელი ელემენტები, ტრიბუნები, სტაციონალური დანადგარები, სტენდები, ღია ექსპოზიციები, ის, რაც მუზეუმქალაქისათვის აუცილებელია. თუ სუზდალში 24 ექსპოზიციაა, კიჟში – 8, სამარყანდში – 12, თრაკიაში – 5, ნესებრში – 10, და, ასე შემდეგ, მცხეთაში მხოლოდ ერთია.

მცხეთას დედაქალაქობის პერიოდში ჰქონია ათამდე უბანი: მცხეთის უბანი, შიდაციხის (არმაზისციხის), საპიტიახშოს (ერისმთავართა და ეზოსმოძღვართა), წიწამურის, სარკინეს, ზემოავჭალის, ბაგინეთის, მუხათგვერდ-ნაქულბაქევის, ურიათა და მოგვთა... დღეს სამწუხაროდ, არც ერთი უბნის ადგილმდებარეობა, სტუმარს ვინ ჩივის, მასპინძლებისთვისაც კი უცნობია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ადგილებში დაიდგას მცირე არქიტექტურულ ფორმაში ჩამჯდარი მემორიალური დაფები, რომლებიც ჩამოსულ სტუმრებს, ექსკურსანტებს გააცნობს მათ ადგილსამყოფელს, ისევე როგორც სხვა მუზეუმქალაქებშია.

მცხეთაში არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ლაპიდალური ძეგლები, რომლებიც უძველეს ცივილიზებულ ქვეყნებთან (საბერძნეთი, რომი) მეგობრობის აღმნიშვნელია, სამწუხაროდ, თბილისში მუზეუმების საცავეებშია გამოკეტილი, მიზანშეწონილი იქნება თუ მათ მულაჟების სახით ახალ არქიტექტორულ ფორმაში ჩასვამთ და დავდგამთ იმ ადგილზე, სადაც ნაპოვნი იქნა.

მცხეთაზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები: ინდოეთიდან კასპიის ზღვით, მდინარე მტკვარით და ლიხის უღელტეხილით ფაზისამდე, ეგრეთ წოდებული აბრეშუმის გზა. მეორე გზა ჩრდილოეთით კავკასიიდან მცხეთაზე გავლით, სამხრეთის მიმართულებით მიდიოდა, რომელთა მინიშნებაც საინტერესო იქნებოდა როგორც ტურისტებისთვის, ასევე ჩამოსული სტუმრებისათვის.

მცხეთის უძველესი ციხეები (შიდაციხე, აკროპოლისი, არმაზციხე, ბებრის ციხე, წიწამურციხე), რომელთაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მცხეთის ისტორიისათვის, სამწუხაროდ მემორიალური დაფებით არ არის აღნიშნული.

თბილისში დაიდგა ფარნავაზის, წმინდა ნინოს, ვახტანგ გორგასლის ძეგლები იმ დროს, როცა მცხეთაში მხოლოდ არსენა ოძელაშვილისა და სანდრო კანდელაკის ძეგლებია.

არქეოლოგების მიერ მცხეთის უპირველეს დასახლებაში ბაგინეთში ნაპოვნმა მრავალმა მნიშვნელოვანმა აღმოჩენამ დააყენა მისასვლელი საავტომობილო გზის შეკეთება-გაგანიერების აუცილებლობა, რათა ტურისტებს, სტუმრებს ვაჩვენოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აშენებული სამეფო რეზიდენცია, აბანო, წარმართული ეკლესია და სხვა ღირსშესანიშნავი მონაპოვარი. არმაზში, იქ, სადაც ახალი რესტორანი აშენდა, 1937 წლიდან მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები, ნანახი იქნა ანტიკური პერიოდის სასახლის, აბანოს, მარნის და სხვა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაშთები და სამარხები, სარკოფაგები, რომლებმაც უფრო ნათლად წარმოგვიჩინეს ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა. სამწუხაროდ, არმაზის ერისმთავრების საბრძანებელი დღეს სავალალო მდგომარეობაშია და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. 1996 წელს ტელევიზიით ნაჩვენებმა ვიდეოზე გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა (5 ნაწილად) ფილმმა „მცხეთა“ მნახველთა მოწონება დაიმსახურა, მიზანშეწონილი იქნება, თუ დიდ ფირზე გადავიღებთ და ვთარგმნით უცხო ენებზე.

ქალაქში არ არის ბუკლეტები, მედალიონები, სამკერდე ნიშნები, მათი დამზადებისათვის უნდა ვიზრუნოთ, ყველა ესენი უდიდეს საქმეს გააკეთებენ მცხეთის პოპულარიზაციისათვის.

უნდა აღდგეს კავშირი თბილისის სკოლებთან სვეტიცხოველში, სამთავროში ღია გაკვეთილების ჩასატარებლად, როგორც ეს ოციოდე წლის წინათ იყო.

ისევე, როგორც თბილისში, მცხეთაშიც ახალბინათმშენებლებისათვის უნდა დამუშავდეს და შეღავათიან ფასებში მეპატრონეებს მიეცეთ ისეთ პროექტები, როგორც მუზეუმქალაქს მიესადაგება.

სხვა ქალაქთა მსგავსად, არ უნდა მოხდეს სტანდარტულად, მიმსგავსებულად მისი ზრდა-განვითარებისათვის მიბაძვა, ასეთი მიდგომა დიდ ზიანს მოუტანს მცხეთას.

მცხეთა მარტო მცხეთელებისა არ არის, იგი მთელი საქართველოსია. ამიტომ საჭიროა, მთავრობამ, პარლამენტმა, თბილისის მერიამ დახმარების ხელი გამოუწოდოს, მარტო ვერც ქალაქის გამგებლობა და ვერც რაიონის ბიუჯეტი ვერ შესძლებს ამჟამინდელი პრობლემების მოგვარებას.

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, სამხატვრო აკადემიამ, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ იბერიის უპირველეს დედაქალაქთან, საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი სპეციალურად მცირე არქიტექტურული ფორმების, სტენდების, მისანიშნებლების შესაქმნელად. კარგი იქნება, თუ მცხეთის უბნებს გავანაწილებთ უმაღლეს სასწავლებლებზე და სტუდენტ-ახალგაზრდებს დავაინტერესებთ მცხეთის თემით, საკურსო, სადიპლომო თემას მცხეთას დავუკავშირებით. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ზემდგომი ორგანოების მიერ. კარგი იქნება, თუ კულტურისა და სპორტის სამინისტრო, კულტურის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, სხვა დაინტერესებული უწყებები ყველაფერს გააკეთებენ ჩამოთვლილი საკითხების მოგვარებისათვის.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი უდიდესი მამულიშვილური საქმის განხორციელებას ათეული წლები დასჭირდა, დაუღალავი და მუხლჩაუხრელი, ასჯერ გაზომილი და აწონილი, რომელიც კიდევ უფრო გააბრწყინებს გმირულ ისტორიას.

ფეხზე დამდგარი ქართლის მთები ამაყად დაჰყურებენ მცხეთას და მის შემოგარენს. მტკვრის ნაპირები მოსირმული ხანჯალივით ბრწყინავენ ახლად ამოსულ მზის სხივებზე. გაგონდება ტიციან ტაბიძის ლექსის სტრიქონები:

**ორი არაგვი, როგორც ორი და,**  
**ვით დღე და ღამე თეთრი და შავი,**  
**ბავშვურ ტირილით ერთად მოდიან,**  
**რომ შემდეგ მტკვარში დაიღრჩონ თავი.**

ამ მიწას იმ ვაჟკაცების ნაფეხურები შემორჩა, ვინც ებრძოდა პომპეუსს, კავადს, პეროზს, მურვან ყრუს და სხვა შემოჭრილ ათას გადამთიელს. ბულდოზერი ძველი ამორტიზებული შენობებისგან ათავისუფლებს, ასუფთავებს იმ ადგილებს, რომელზეც იუნესკოს, ისტორიკოსების, არქეოლოგების, ხუროთმოძღვრების და საზოგადოების განსჯის შემდეგ ააშენებენ იმას, რაც მცხეთის გმირულ ისტორიას მოუხდება და დასჭირდება.

**ვალერიან მამუკელაშვილი**



ინფორმაცია

## „თბილავიამშენი“ თავდაცვის სამინისტრომ მიიერთა

**„თბილავიამშენი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში გადავიდა. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსმა რევაზ ჭარბაძემ და „თბილავიამშენის“ ხელმძღვანელმა, პანტიკო თორდიამ განაცხადეს.**

**ჭარბაძის განცხადებით, „თბილავიამშენი“ სამინისტროს შემადგენლობაში თავად საწარმოს ხელმძღვანელობის ინიციატივით გადავიდა. მისი განმარტებით, ეს ფაქტი მთელი რიგი პროცედურების გამარტივებას შეუწყობს ხელს. მისივე განცხადებით, სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ახალი საჰაერო სამართლის იურიდიული პირის შექმნაზე და სამხედრო სარემონტო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბებაზე.**

## ოკუპანტების პროვოკაციები გრძელდება

**აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართული საგუშაგოს მიმართულებით გახსნილი ცეცხლის შედეგად დაჭრილი დავით ბეჟუაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.**

**დაჭრილი პოლიციელი ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს და როგორც ექიმებმა განაცხადეს, იგი ფეხშია დაჭრილი. მას ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.**




**შეგახსენებთ, რომ გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან ცეცხლი ქართველ სამართალდამცავებს ფიჩორი-განმუხურის საგუშაგოს მიმართულებით გაუხსნეს.**

**ოკუპანტების პროვოკაციას ქართველი პოლიციელები არ აჰყოლიან და საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ. ინციდენტის ადგილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა უკვე მოინახულეს.**

**ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.**

ჯი-ეიჩ-ენ

**გადასახადი**

***ახალ საგადასახდო კოდექსთან დაკავშირებული ვნებათა ღელვა სპეციალისტებისა და პროფესიონალების შენიშვნებს და მთავრობის მიერ ცალკეული შენიშვნების გათვალისწინებას არ გასცილებია. მის ავ-კარგიანობაზე მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი საუბარი, როდესაც რეალურ „ცხოვრებას დაიწყებს“ და თითოეული მოქალაქე საკუთარ თავზე, ანუ ჯიბეზე იგრძნობს თუნდაც კომუნიკაციასა და ალკოჰოლურ პროდუქციაზე აქციზის დაწესებით და ზრდით საკუთარი ბიუჯეტის შემცირებას და, რა თქმა უნდა მაკონტროლებელთა სუსხს კოდექსის არაინტერპრეტირებადი მუხლების მოთხოვნების შესრულებისას.***



***მოკლედ, ახლადაგებული ტაძრისა და ახლადდაწერილი წიგნის არ იყოს, ახალ კოდექსს მაქებარიც მრავლად ჰყავს და დამფრთხალი თვალებით მომზირალიც. თუ მაქებარნი ბიუჯეტში სოლიდური თანხების შემოდინებას ელიან, დამფრთხალნი იმაზე ფიქრობენ, რამდენად შეძლებენ ახალი კოდექსის პირობებში საკუთარი ბიზნესის წარმატებულად გაძღოლას. ისე, სკეპტიკოსთა განცხადებებს თუ დავუჯერებთ, ახალ კოდექსში ნაღმები რომ არ იდოს, მთავრობა ასე ადვილად არ დათანხმდებოდა განათლებისა და სამედიცინო სფეროების დღგ-თი დაბეგვრაზე უარს.***

***ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე „ჯი-ეიჩ-ენთან“ ინტერვიუში მთავრობის მხრიდან ახალი გადასახადის შემოტანის მცდელობას უარყოფითად აფასებს.***

# ახალი კოდექსის განმარტებებით ხელისუფლება მოგებასა და ქონების დაგროვებას ებრძვის

**ლევან კალანდაძე:** ახალი დაბეგვრის რეჟიმის შემოტანის საფუძველი ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტში დამატებითი გადასახადების მობილიზება იყო. მით უმეტეს, რომ დღეისათვის საგადასახადო შემოსავლების კუთხით ხელისუფლებას გარკვეული პრობლემები აქვს. მთავრობა ცდილობს, მაქსიმალურად გაზარდოს ის არეალი და ბაზა, რომლის საფუძველზეც შემდგომ დამატებითი შემოსავლების მობილიზებას უზრუნველყოფს.

**— თუმცა განათლება და ჯანდაცვა იმდენად მგრძნობიარე სფეროებია, რომ ხელისუფლებას იმთავითვე უნდა სცოდნოდა, ამ მიმართულებით წინააღმდეგობას რომ წააწყდებოდა.**

— განათლება და მედიცინა კაპიტალტევადი სფეროებია და დაბეგვრის ახალი რეჟიმის შემოტანით გარკვეული შემოსავლების მობილიზება მოხდებოდა. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ დაბეგვრის ახალი რეჟიმის შემოტანა ბიზნესთან ურთიერთობაში სავაჭრო თემაც ყოფილიყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ორი სფეროს დაბეგვრისადმი საზოგადოება მკვეთრად ნეგატიურად განეწყო და, ასე ვთქვათ, მთავრობამ უკან დაიხია და მათს დაბეგვრაზე უარი თქვა.

**— დაბეგვრის შემოღების ეკონომიკური არსი რაში მდგომარეობდა?**

— დღგ არის არაპირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირ გადასახადს კი კომპანია და ცალკეული ბიზნესი არ იხდის. ამ კონკრეტულ შემთხვევებში განათლებისა და ჯანდაცვის დაწესებულებები დღგ-ს არ გადაიხდიდნენ, პირიქით გადასახადს მომხმარებელი გადაიხდიდა. სწავლის პროცესის დღგ-თი დაბევრა ყველა შემთხვევაში სწავლის საფასურის გაზრდას გამოიწვევდა, რაც თავისთავად მოსწავლისა და მშობლის გადასახდელი იქნებოდა. ამდენად სახელმწიფოს მხრიდან ეს არ იყო სოციალური დატვირთვის მატარებელი ნაბიჯი.

როცა სახელმწიფოს თავისი ორიენტირი და პრიორიტეტი აქვს გამოკვეთილი, კონკურენტუნარიანი სისტემების ჩამოყალიბებაზე, განახლებაზე და მდგრადი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებაზე და ამბიცია აქვს, რომ რეფორმა გაგრძელდეს — დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმის შემოღება, სწორედაც, რომ დააზარალებდა არა მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელსაც გადასახადის გადახდა მოუწევდა, არამედ დააზარალებდა თავად ამ სფეროებსაც. უფრო მეტიც, განვითარების თვალსაზრისით, გარკვეული ბარიერებიც კი შეექმნებოდა.

**— როდესაც მთავრობამ ჯანდაცვისა და განათლების სფეროს დაბეგვრის ახალ რეჟიმზე უარი თქვა, ასეთ ფონზე საიდან შეივსებს ის იმ დეფიციტს რომელიც, სავარაუდოდ ამ მიმართულებიდან მიღებული შემოსავლით უნდა მიეღო?**

— არ ვიცი, საიდან შეივსება. ეს ჰიპოტეკური დაშვებაა, რომ აქედან შეიძლებოდა შევსებულიყო ბიუჯეტი, ეს ხომ აპრიორი არ ყოფილა განსაზღვრული. 2010 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას ფინანსთა სამინისტროს ეს გადასახადი გათვალისწინებული არ ჰქონია.

**— ვერ დაგეთანხმებით, რადგან როდესაც სპირტიან სასმელებზე აქციზის გადასახადის გაზრდაზე მიდგა საუბარი, ფინანსთა მინისტრმა ღიად განაცხადა, რომ ბიუჯეტი დეფიციტს სწორედ ამ გადასახადის გაზრდის ხარჯზე შეივსებდა. შესაბამისად ბიუჯეტს დღგ-ს გადასახადის დაწესებით გარკვეული შემოსავლის მიღების იმედი ჰქონდა.**

— არც სპირტიანი სასმელების აქციზის გადასახადის ზრდა მიმაჩნია სწორ მოვლენად. ჩვენ თუ ვაცხადებთ, რომ ქვეყანაში გადასახადებს არ ვზრდით, შესაბამისად არანაირი გადასახადი არ უნდა გავზარდოთ. გადასახადის გაზრდა იმ პრინციპით, რომ რაღაც გადასახადის ნაკლებობა ჩავანაცვლოთ სხვა გადასახადის განაკვეთის გაზრდით, არასწორი მიდგომაა. ამის საპირისპიროდ განსხვავებული არგუმენტი მაქვს: ხომ შეიძლება ადმინისტრაციული ხარჯები შევამციროთ და ამით გადასახადების შემცირებით გამოწვეული დეფიციტი ჩავანაცვლოთ?!

**— როდესაც მთავრობა აქციზის გადასახადს ზრდის, არღვევს თუ არა ამით „საბიუჯეტო კოდექსს“, სადაც ნათლად წერია, რომ ახალი გადასახადის შემოტანა, ან არსებული გადასახადის განაკვეთის ზრდა ან კლება უნდა გადაწყდეს რეფერენდუმის გზით.**

— პრინციპში ამით საბიუჯეტო კოდექსის არსი ირღვევა, მაგრამ საბიუჯეტო კოდექსის ბოლო ვარიანტში ჩაიწერა, რომ რეფერენდუმი არ ეხებოდა მხოლოდ აქციზის გადასახადს. თავიდან იყო გაჟღერებული, რომ ეს ყველა ტიპის გადასახადზე ვრცელდებოდა, თუმცა მიღებულ ვარიანტში უკვე წერია, რომ ეს არ ეხება მხოლოდ აქციზის გადასახადს.

**— მაშინ გამოდის, რომ მთავრობამ საბიუჯეტო კოდექსის დაწერისას უკვე იცოდა, რომ ქვეყანაში აქციზის გადასახადს გაზრდიდა და ეს ზრდა მთლად ახალი საგადასახადო კოდექსის ცალკეული პრინციპებიდან გამომდინარე არ ყოფილა.**

— მთავრობამ გააკეთა ისე, რომ ლავირების საშუალება მისცემოდა. ხელისუფლებამ თავიდანვე იცოდა, რომ გადასახადის ზრდა მოუწევდა.

**— გასაგებია, თუმცა კომუნიკაციის სფეროს დაბევრით რამდენად დიდი იქნება ფისკალური ეფექტი?**

— არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს კომუნიკაციის აქციზი. აქციზის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აქციზით იბეგრება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქცია ან ფუფუნების საგანი. თუმცა საკომუნიკაციო მომსახურება არც ფუფუნების საგანია და არც სიცოცხლისათვის საშიშად მიიჩნევა. შესაბამისად ამ აქციზის შემოღებას ლოგიკურობა თან არ ახლავს. ხელისუფლება აცხადებს, რომ საკომუნიკაციო სფეროზე აქციზის გადასახადი შემოაქვს იმიტომ, რომ კომუნიკაციების სექტორს დიდი მოგება აქვს.

**— გამოდის რომ ხელისუფლება მოგებას ებრძვის?**

— იგივე შემიძლია გავიმეორო, გამოდის, რომ ხელისუფლება ებრძვის მოგებას? ანუ ვებრძვით ქონების დაგროვებას და ბიზნესის განვითარებულობაზე ორიენტირებულობას? ხვალ რომ მოგების მაღალი მარჟა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ, აქციზის გადასახადი მათაც დავუწესოთ? ეს ლოგიკა არასწორია და განცხადებები, რომ ეს არ გაზრდის მომსახურების ტარიფს, არასწორი მიდგომაა. საკომუნიკაციო მომსახურების მომხმარებელს ტარიფი აპრიორი გაეზრდება, რადგანაც ამ აქციზის გადამხდელი თავადაა.

ესაუბრა
**მაია არაბიძე**

**ექსპერტის აზრი**

# გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზების გადაწყვეტილება მიუღებელია!



**ქართველი ექსპერტები ხელისუფლებას გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებენ.**

**„გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზებაზე დიდი ხანია მიმდინარეობს საუბრები. ერთადერთი, ვინც ამ თემით შესაძლოა, დაინტერესდეს, რუსეთია. „გაზპრომის“ გარდა, სხვას ვერავის ვხედავ, ვინც მილსადენის შესყიდვით დაინტერესდებოდა. ამიტომაც გაუგებარია, რა მოტივებით ხელმძღვანელობს ჩვენი ხელისუფლება, როცა მილსადენის პრივატიზების აცუილებლობაზე საუბრობს?!“, — განუცხადა „პირველს“ ხუხაშვილმა.**

ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ მაგისტრალური მილსადენის შესყიდვის სურვილი სომხეთის ენერგოსისტემას გაუჩნდეს, თუმცა აქვე დასძენს, რომ ეს უკანასკნელი ისევ რუსეთის „გაზპრომის“ შვილეული კომპანიაა.

**„ხელისუფლების წარმომადგენლებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე წარმოდგენა არ აქვთ. მათთვის ეს სიტყვა ან სრულიად გაუგებარია, ან მხოლოდ გაზისა და შუქის გამართულ მიწოდებას ნიშნავს. გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზება მრავალპარამეტრიანი და რთული თემაა, ამიტომ როდესაც ხელისუფლება მსგავს განცხადებებს აკეთებს, მათ პროცესების შესაძლო განვითარებაზეც უნდა იფიქრონ“,** — აღნიშნა ექსპერტმა და ხელისუფლების წარმომადგენლებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთკვირიანი ტრეინინგის ჩატარება შესთავაზა.

მაგისტრალური მილსადენის შესაძლო პრივატიზებას ხელისუფლებას არც „ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის“ ექსპერტი დავით ნარმანია ურჩევს.

**„გაზის მაგისტრალური მილსადენის გაყიდვაზე საუბრები ჯერ კიდევ კახა ბენდუქიძის სახელმწიფო მინისტრობის დროს მიმდინარეობდა. მაშინ ძალიან აქტიური კამპანია ჩატარდა ამ პროცესის შესაჩერებლად. ვფიქრობ, დღესაც იგივე უნდა განმეორდეს“,** — განუცხადა „პირველს“ ნარმანიამ.

მილსადენის პრივატიზაციის საკითხს დადებითად არც ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე აფასებს და ხელისუფლებას გონივრული გადაწყვეტილების მიღებას ურჩევს.

**„ბოლო პერიოდში გაზის ტრანსპორტირების სისტემები ძალიან ფასობს და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო ფასეული გახდება, ამიტომ ქვეყნის ხელისუფლებამ არა მის გაყიდვაზე, არამედ იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ შესძლებს, თავად უფრო ეფექტურად გამოიყენოს ეს მილსადენი“,** — აღნიშნა „პირველთან“ საუბარში გიორხელიძემ.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის ლაშა თორდიას და სხვათა მიერ მომზადებული „სახელმწიფო ქონების პრივატიზების“ შესახებ კანონპროექტის საპრივატიზაციოდ აკრძალულ სახელმწიფო ობიექტთა ნუსხაში გაზის მაგისტრალური მილსადენი აღარ ფიგურირებს. ეს ფაქტი „პირველს“ თავად თორდიამ დაუდასტურა.

**„იყო დრო, როცა კაშხლები, „თელასი“ და მსგავსი ტიპის ობიექტები სახელმწიფო საკუთრებაში არსებობდა და მოსახლეობას არც გაზი და არც ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ქვეყნაში ენერგეტიკული პრობლემები სწორედ ამ ობიექტების პრივატიზების შემდეგ მოგვარდა. მომავალში შეიძლება, გაზის მაგისტრალური მილსადენის პრივატიზებაც განხორციელდეს, რაც კანონისა და ქვეყნის ინტერესების დაცვით მოხდება“,** — განუცხადა „პირველს“ თორდიამ, რომლის აზრით, ამ შემთხვევაში ობიექტის „სტრატეგიულობაზე“ საუბარი „მოძველებული მიდგომაა“.

№ 123. პარასკევი, 2 ივლისი, 2010 წელი.

◉ აკაკი წერეთელი — 170

# „მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს“...



აკაკისა და გალაკტიონის ურთიერთობა ბატონმა ვახტანგ ჯავახაძემ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში (თავმჯდომარე ლია ნადარეიშვილი) მიმოიხილა. მთელი საქართველო აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170 წლის იუბილეს ზეიმობს, და ამ ზეიმს მწიგნობართა ასოციაციაში გამართულმა საღამომ ორიგინალური ნიუანსი შემატა. მით უფრო, რომ საღამოს გალაკტიონის ძმისწული ნოდარ ტაბიძე უძღვებოდა.

„უკვე თხუთმეტი წლისა ვიყავი, სემინარიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვწერდი, ვბაძავდი აკაკის... „სირცხვილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო“ — ვფიქრობდი, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა“... — ასე ნატრობდა გალაკტიონი აკაკი წერეთელთან შეხვედრას, ანდამატივით იზიდავდა „მგოსანი ცოცხალი გრძნობის“, ვინც „მთები დადგა მარგალიტების“...

აკაკის გალაკტიონი ჭაბუკობიდან ეტრფოდა. მას ღმერთად მიიჩნევდა. სემინარიადამთავრებული გალაკტიონი სოფელ ფარცხნალში მასწავლებლად მუშაობდა. აკაკისთან პირველ შეხვედრას იგი ასე აღწერს: „კვირა-უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვდიოდით, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თბილისიდან მატარებელი ჩამოდიოდა და ესეც ერთგვარ სიამოვნებს გვგვრიდა... ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ვსაუბრობდით, ვიცინოდით. მატარებელიც მოვიდა. ჯგუფი ახალგაზრდა ქალების იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა.



ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გამოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მოხუცმა.

— აკაკი! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანათ გაშეშებულნი ვიდექით. მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს“... — იხსენებს გალაკტიონი.

ასე იხილა მან პირველად აკაკი წერეთელი, თვალებით ჭამდა და მგოსანთან სიახლოვე სურდა.

**ვახტანგ ჯავახაძე: „1914 წელს ქუთაისელმა ფოტოგრაფმა ნიკოლოზ საღარაძემ გადაიღო სურათი. ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობდნენ: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი... სულ 18 მწერალი. 1957 წელს ეს ფოტო „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა. ფოტოს ხილვის შემდეგ გალაკტიონი დაჯდა და გახსენებების წერა დაიწყო — საკუთარ თავზე, აკაკიზე, ვის რა აცვია... მოგონება ლირიკული წიაღსვლებით მოთხრობასავით იკითხება.**

**ფოტოსურათზე — აკაკი ზის მაგიდასთან, გვერდით დავით კლდიაშვილი, შემდეგ იროდიონ ევდოშვილი უსხედან. გალაკტიონი ყველაზე შორს, მეორე რიგში განაპირებულა. ასე შორს მყოფი საკუთარი თავი არ მოეწონა, ამოჭრა ფოტოდან, დაამონტაჟა და... ამ მონტაჟის მიხედვით, გალაკტიონი უკვე აკაკის გვერდით დგას.**

**1915 წლამდე გალაკტიონი აკაკის არა მარტო ბაძავდა ლექსებით, არამედ გარეგნულადაც ცდილობდა, მას დამსგავსებოდა. გალაკტიონი იგონებს: აკაკი დავინახე, მკერდი მოღეღილი ჰქონდა, ბულვარიდან ბანკისკენ მიდიოდა. ავედევნე. უცნაური იყო — აკაკი რაღაცას ლაპარაკობდა, ხან ერთ ხელს აიქნევდა, ხან მეორეს... ანუ გარეგნობითაც საინტერესო იყო გალაკტიონისთვის.**

**ვფიქრობ, გალაკტიონი მონაწილეობდა ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმში აკაკის გაცილების ცერემონიალში. როდესაც მან ფოტომასალების სია შეადგინა და დაათარიღა, პირველ ნომრად დაასახელა აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. 1912 წელს გალაკტიონი 21 წლის იქნებოდა. ვასილ ამაშუკელის ცნობილ ფილმში, ქუთაისიდან აკაკის გამცილებელთა შორის შესაძლებელია 21 წლის გალაკტიონის პორტრეტიც აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, ამ კინოს დაბალი ხარისხის მხედველობა ჰქონდა, ახლახან უცხოეთში დაამუშავეს და აღადგინეს. ფირის საგულდაგულოდ დათვალიერების შემდეგ, ზღვა ხალხში შეიძლება გალაკტიონიც ვიპოვოთ, რომელმაც გააცილა აკაკი წერეთელი. ამის თაობაზე ვაცნობე მარლენ კიტიას და გოგი დოლიძეს. ვგონებ, ჩვენი ისტორიისათვის საინტერესო იქნება ეს დეტალი“.**

1915 წელს გარდაიცვალნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა. 24 წლის გალაკტიონმა აკაკის გარდაცვალებას ორი ლექსი მიუძღვნა. 1915 წელსვე დაიწერა ცნობილი ლექსი: „მთაწმინდის მთვარე“.

**ვახტანგ ჯავახაძე: „სხვათა შორის, გალაკტიონი მონაწილეობდა აკაკის თბილისში გადმოსვენებაში. აკაკიმ დაიბარა, რომ საჩხერეში, მშობლიურ სოფელში დაეკრძალათ. მისი თანასოფლელებიც ასე მოითხოვდნენ, მაგრამ ამ აზრს არ დაეთანხმნენ და თბილისში გადმოასვენეს, მთაწმინდაზე დაკრძალეს.**

**ლიდია მეგრელიძის მოგონება გალაკტიონს აკაკი წერეთლის პანაშვიდზე წარმოგვიდგენს. ავტორი გალაკტიონს არ იცნობდა, მაგრამ მის სულიერ მდგომარეობას ასე წარმოაჩენს — ახალგაზრდა ყმაწვილი ისე დაფიქრებულიყო, იქაურ გარემოს ვერ გრძნობდა, თითქოს სამარეს ჩასცქეროდა, სანთელი ეჭირა, და როცა სანთელმა ხელი დასწვა, მაშინ გამოფხიზლდაო.**

**გარდაცვალების შემდეგ, აკაკი წერეთელი გალაკტიონის მოგონებებში ვრცლად წარმოჩინდება. 1950-იან წლებში გალაკტიონ ტაბიძე იყო მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის თავმჯდომარე. როდესაც საღამოების გეგმა შეადგინა, უპირველესად, აკაკისადმი მიძღვნილი საღამო დაგეგმა. 1955 წელს სრულდებოდა აკაკის გარდაცვალებიდან 40 წელი. დიდი მოხსენება დაწერა, ტომეულებში შეიტანა. ეს იყო გარდაცვლილი მწერლისადმი მიძღვნილი ერთადერთი საღამო.**

**აკაკი წერეთელიც პატივს სცემდა გალაქტიონს, რაც მწერალ დარია ახვლედიანის მოგონებიდან ირკვევა: ერთხელ აკაკის ვკითხე, თქვენს შემდეგ გამორჩეულ პოეტად ვინ მიგაჩნიათ-მეთქი? აკაკიმ ვაჟაფშაველა და ცახელი დაასახელა. დარიამ კითხვა დაუკონკრეტა: მე ახალგაზრდები მაინტერესებსო. ახალგაზრდებიდან ყველაზე მეტად გალაკტიონი გამოირჩევა — მას ბევრი სიახლე შეაქვს ჩვენს პოეზიაშიო.**

**გალაკტიონს უყვარდა ამ მოგონების გამეორება. დარიას გარდაცვალების შემდეგ, ოლიას სთხოვა, მისი საფლავი ყვავილებით შეემკო...“**

თავად კი აკაკის ლანდთან შესახვედრად მთაწმინდას ხშირად სტუმრობდა. ამის თაობაზე ბრწყინვალედ იგონებს გალაკტიონის ძმისწული, ბატონი **ნოდარ ტაბიძე.**

„1952 წლის გვიანი შემოდგომაა. გალაკტიონი ამაღლებულ განწყობილებაზეა. გამოღებული კარის სახელურს აწვალებს და ამბობს — მოდი, ვესტუმროთ მეგობრებს.

მანქანაში ვსხდებით. აკაკისკენ, — ბრძანებს გალაკტიონი. შოფერი თავს მარჯვნივ აბრუნებს და სმენას ძაბავს. აკაკი წერეთლისკენ, — იმეორებს გალაკტიონი. ახლა მე შემომცქერის აბნეული, ჭაღარა კაცი.

— მთაწმინდაზე, — ვაზუსტებ მე. საათზე მეტი დავყავით იქ, გოგებაშვილის საფლავთან ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობს იხსენებს და იცინის. აქებს იაკობ ნიკოლაძის „მწუხარე საქართველოს“, პარიზში აღმართულ კომუნარების ძეგლს მაგონებსო.

აკაკის საფლავთან პერანგის ზედა ღილებს იხსნის და იშიშვლებს ვაჟკაცურ მკერდს. მსგავს პოზაში არასოდეს მინახავს. მერე მარცხენა ხელით მხარზე მეყრდნობა და „მთაწმინდის მთვარეს“ კითხულობს. აქ სულ სხვაგვარად ჟღერს ეს გენიალური ლექსი. სასიმღერო ინტონაციითა და ცახცახით წარმოთქვამს ყოველ ტაეპს, თითქოს გრძნობს გამდნარი რვალის სილბოს და პოტენციურ სიმტკიცეს“.

**ვახტანგ ჯავახაძე: „მთაწმინდის მთვარეში“ ილია რომ არ იყო ნახსენები, გული ეთანაღრებოდა. დაწერა ერთი სტროფი, ჩამატება უნდოდა, მაგრამ მერე თავი შეიკავა და ეტყობა, სწორად მოიქცა, რადგან ერთი ამოსუნთქვით დაწერილ ლექსს არ მოუხდა.**

**მისთვის ორივე — ილიაცა და აკაკიც ძვირფას სახებას წარმოადგენდა. თუ წინამურთან ილიას სიკვდილით „ეპოქა დასრულდა დიდი“, „აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცნესო“ — წერდა. 1949 წელს დაწერილი ლექსი „აკაკი და ილია შავი ზღვის პირად“ გალაკტიონს სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია, და ეს ლექსი 1975 წელს მე-7 ტომში შევიდა. ლექსში საუბრობს ორი მეგობარი. ილია ჭავჭავაძე ნატრობს, ნეტავ, ეს შავი ზღვა ერთ უზარმაზარ არყის ქვაბად გადაიქცეოდეს, რუსები შიგ ჩაიხრჩობიან და ბურუსივით გაქრებიანო.**

**დღევანდელობას ეხმიანება ეს ლექსი, უაღრესად თანამედროვეა გალაკტიონი.**

**გალაკტიონ ტაბიძე არ არის აკაკი წერეთლის მემკვიდრე, როგორც მიღებული იყო. თითქოს აკაკის და ვაჟას წასვლას ელოდაო, მოულოდნელად, 1915 წელს მან დაიწყო ლექსების სრულიად ახლებური წერა და სწორედ იქიდან იწყება რენესანსი თანამედროვე ქართული პოეზიისა, რევოლუცია ქართულ პოეზიაში...“**

— დაასკვნა ვახტანგ ჯავახაძემ.

ელტვოდა, უყვარდა, ბაძავდა... და ამ სიყვარულით საზრდოობდა პოეზიის ახალ და ჯერ კიდევ გაუკვალავ გზებზე... რომელიც მხოლოდ გალაკტიონის გზაა — ბებერი თბილისიდან გალილეამდე!

**თამარ შაიშმელაშვილი**



**სურათზე:** ნიკოლოზ საღარაძის ცნობილი სურათი. მეორე რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ დგას გალაკტიონ ტაბიძე.

◉ ინფორმაცია

## ჭერემელები დახმარებას ითხოვენ

**გურჯაანის** რაიონის სოფელ ჭერემის მცხოვრებლები რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზის აღდგენას ითხოვენ. როგორც ადგილობრივებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, ჭერემთან დაკავშირება მხოლოდ ორხიდიანი მანქანით არის შესაძლებელი, ორხიდიანი მანქანა კი სოფელში არავის ჰყავს.

ჭერემის გზის 12-კილომეტრიანი მონაკვეთი სტიქიამ ერთი კვირის წინ წაიღო. ამასთან, გზის დარჩენილი ნაწილი ისეა დაზიანებული, რომ მასზე მსუბუქი ავტომანქანების გადაადგილება შეუძლებელია.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შოთა უტიაშვილმა განუცხადა, სოფელ ჭერემთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია რამდენიმე დღეში დაიწყება. — გზის ის ნაწილი, რომელიც სტიქიამ ვერ წაიღო, მოიხრეშება. სადაც გზა აღარ არის, იქ, ტყეში ახალი გზა გაიჭრება. სამუშაოები მაშინვე დაიწყება, როგორც კი ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხები ჩაგვერიცხება, — განაცხადა შოთა უტიაშვილმა.

ჯიი-ეიჩ-ეხი

სამხრეთ კავკასია — მოვლენათა ეპიცენტრი

# გადატვირთვის პოლიტიკაში მთავარ როლს აშშ ასრულებს



***თუ როგორ აისახება აშშ-რუსეთისა და ევროპა-რუსეთის დაახლოება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე და ამ რეგიონში არსებული კონფლიქტების სამართლიანად გადაწყვეტაზე, რამდენად შეესაბამება სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აზერბაიჯანულ პოლიტელიტას კურსი ისევ რუსეთზე აქვს აღებული და რომ ბაქო ყარაბაღისათვის ომის დაწყებას გეგმავს, „ინტერპრესნიუსი“ აზერბაიჯანელ პოლიტოლოგს, აღმოსავლეთმცოდნე-არაბისტს, დიპლომატს, საგარეო ურთიერთობების საკითხებში ექსსახელმწიფო მრჩეველს ვაფა გულუზადეს ესაუბრა.***

**— ბატონო ვაფა, აშშ-რუსეთის და ევროპა-რუსეთის დაახლოების ფონზე როგორ შეაფასებდით სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას?**

— სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარება მსოფლიოში გლობალურ პროცესებს უკავშირდება. „ცივ ომში“ რუსეთის დამარცხების შედეგად სსრკ-ი დაიშალა. როგორც ყველა მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ამ შემთხვევაშიც დაიწყო მსოფლიოს გავლენის სფეროებად გადანაწილება. სსრკ-ის ყოფილმა კოლონიებმა საქართველომ და აზერბაიჯანმა, შუა აზიის რესპუბლიკებმა, ბალტიის ქვეყნებმა დაიწყეს აშშ-სთან და ევროპასთან თანამშრომლობა. ამ ჩამონათვალში მე განზრახ არ მიხსენებია სომხეთი. სომხეთს მე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ვთვლი და მიმაჩნია, რომ იგი რუსეთის გუბერნიაა. ტყუილად კი არ თქვა რუსეთის სათათბიროს სპიკერმა გრიზლოვმა, სომხეთი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფორფოსტიაო.

რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შენარჩუნებას ცდილობს. რუსეთს საქართველო საბოლოოდ დაკარგული აქვს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ რუსეთს ზიანის მეტი არაფერი მოუტანა. ყარაბაღის კონფლიქტი ვერ დაეხმარა რუსეთს, დაებრუნებინა აზერბაიჯანი. მიმაჩნია, რომ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის პოლიტიკა წამგებიანია. რუსეთის ფედერაცია ყოველდღე სულ უფრო და უფრო სუსტდება და დასავლეთსა და აშშ-ზე დამოკიდებული ხდება.

მე არა ვთვლი, რომ აშშ და ევროპა რუსეთს სინამდვილეში დაუახლოვდნენ. მთელი ისტორიის მანძილზე ევროპა და რუსეთი სულ ერთმანეთის მტრები იყვნენ. მოდით, უარი ვთქვათ დიპლომატიურ ენაზე და პირდაპირ ვთქვათ სათქმელი — ევროპასთან მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების შემდეგ რუსეთი დამარცხდა და როგორც დამარცხებული მხარე დასავლეთთან მიმართებაში სულ უფრო და უფრო მეტ დათმობებზე მიდის. რუსეთი ახლა დასავლეთთან და აშშ-სთან იმის გამო თანამშრომლობს, რომ იქნებ მათ შეძლონ მისი ჩინეთისაგან დაცვა. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის მხრიდან რუსეთის ტერიტორიების ექსპანსიონიზმი მართლაც შემაშფოთებელ მასშტაბებს იძენს.

მიმაჩნია, რომ აშშ–სა და რუსეთის, ევროპისა და რუსეთის დაახლოება სრულყოფილი არ არის. ვთვლი, რომ რუსეთი დასავლეთისა და აშშ-ს გავლენის ქვეშ სულ უფრო მეტად იმის გამო ექცევა, რომ მას მსოფლიოს ბაზარზე მხოლოდ ნედლეულის გატანა შეუძლია.

**— თქვენი აზრით, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ დასავლეთთან რუსეთის დაახლოება სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებას სასიკეთოდ წაადგება?**

— ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ, ვიდრე სსრკ-ის იმპერიის ნანგრევებზე არსებული რუსეთის ფედერაციის იმპერიული მენტალიტეტი არ შეიცვლება, მისი პოლიტიკა იმპერიული იქნება. დინოზავრი მანამდეა დინოზავრი, ვიდრე ცოცხალია და არ მოკვდება.

დღევანდელი რუსეთის ფედერაციის ადგილზე ბევრი დამოუკიდებელი და რუსული ნაციონალური სახელმწიფო წარმოიქმნება. სხვათა შორის, საინტერესოა ის, რომ ბოლშევიკებს რუსული სახელმწიფოს შექმნა დაავიწყდათ. ყველა იმპერიის დაშლის შემდეგ ნაციონალური სახელმწიფოები წარმოიქმნება. ასე მოხდა ოსმალეთისა და სხვა იმპერიების დაშლის შემდეგაც.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთთან მიმართებაში ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა. უნდა გვესმოდეს, რომ ეს გრძელვადიანი ისტორიული პროცესია. გადატვირთვის პოლიტიკაში მთავარ როლს აშშ ასრულებს. სწორედ აშშ-ია რუსეთის იმპერიის მთავარი ოპონენტი. ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, აშშ-ის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი იზრდება, ხოლო რუსეთი დეგრადირებს. რუსული რაკეტები ისევეა ამერიკაზე დამიზნებული, როგორც ამერიკული — რუსულ ქალაქებზე. რუსეთს ვინმეს დაპყრობის იმედები აღარ აქვს, მაგრამ ამ მიმართულებით აშშ თავის განზრახვის რეკლამირებას დუმილს ამჯობინებს.

**— არც ვაშინგტონი და არც მოსკოვი არ ჩქარობენ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ამ საკითხის გაჭიანურებაში აშშ-სა და რუსეთის სტრატეგიისა და ტაქტიკის არსი?**

— რუსეთის პოზიცია ასეთია — თუ ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარდა და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რუსეთი ორივე ქვეყანაზე თავის გავლენას დაკარგავს და ორივე ქვეყანა ხელიხელჩაკიდებული ნატოსა და ევროკავშირში გაწევრდება. ამიტომ რუსეთი დაინტერესებულია, კონფლიქტის მოგვარება რაც შეიძლება გაჭიანურდეს. რუსეთში იმედოვნებენ, რომ რუსეთი, როგორც იმპერია, შეიძლება აღორძინდეს. რუსეთმა შექმნას ისეთი სიძლიერის იარაღი, რომელიც აშშ-ს ჩიხში მოაქცევს. ახლა რუსეთს ისეთივე მენტალიტეტი აქვს, როგორც ადოლფ ჰიტლერს 1945 წელს. სასწაული მოქმედების იარაღისა და საერთოდ, რუსეთში სასწაულის მოლოდინი დიდია, მაგრამ სასწაული არ მოხდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის და ყარაბაღის კონფლიქტები რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგებია.

**— რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მოსაზრება, თითქოს აზერბაიჯანულ პოლიტელიტაზე და, საერთოდ, აზერბაიჯანზე რუსული გავლენა იზრდება?**

— მიმაჩნია, რომ ამგვარი მოსაზრება აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალობას. რუსეთი აზერბაიჯანის მეზობელი ქვეყანაა და იგი მასთან ეკონომიკისა და ბევრ სხვა სფეროებში თანამშრომლობს. არის საკითხები, რომლებშიც ბაქო არც ისე პრინციპულად იცავს თავის ნაციონალურ ინტერესებს. ჩვენ ვცდილობთ რუსეთის გულის მოგებას, თუმცა მიმაჩნია, რომ აგრესორთან თამაში არაფერი კარგის მომტანი არ არის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ არ გვინდა საქართველოს მაგალითი აზერბაიჯანზეც განმეორდეს.

რუსეთისთვის მარტივია ჩვენს წინააღმდეგ სომხების მომართვა. რუსეთში მილიონზე მეტი სომეხი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი რუსულ ჯარში, სპეცსამსახურებში და სხვა ძალოვან უწყებებში მსახურობს. სომხეთი ფაქტობრივად რუსეთის ნაწილია. ჩვენ არ გვინდა რუსეთთან ომი, ჩვენ რუსეთთან ნორმალური თანამშრომლობა გვსურს და ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანი რუსეთთან ძალიან დაახლოებულია, ან მისი გავლენის ქვეშ ექცევა. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს იმიტომ, რომ ეს ჩვენს ინტერესებშია. საქართველო ჩვენ თურქეთზე და დასავლეთზე გასვლის საშუალებას გვაძლევს. ახლა ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ლუკაშენკოს, იმიტომ რომ რუსეთი ბელორუსიისა და მისი ლიდერის დახრჩობას ცდილობს. რამდენადაც ეს შესაძლებელია, აზერბაიჯანი ცდილობს თავისი ნაციონალური ინტერესების დაცვას, აშშ-სა და ევროპასთან ურთიერთობების გაღრმავებას.

ამას წინათ ბაქოში ვიზიტად იმყოფებოდა აშშ-ს თავდაცვის მინისტრი გეიტსი, მალე გვესტუმრება აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. ასეთი ვიზიტები მოსკოვს აღიზიანებს. ამის გამოა სწორედ, რომ ცეცხლის შეწყვეტის ზოლზე პერმანენტულად აქტიურდებიან სომეხი




სამხედროები. ყოველდღე ხდება პროვოკაციები და სროლები. ეს ყველაფერი სომხების ხელით რუსეთის ნამოქმედარია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჯერჯერობით ვუძლებთ. აზერბაიჯანს მოსკოვთან დაახლოების საფუძველი არა აქვს და საუბრები ამის შესახებ გადაჭარბებულია. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ რუსეთი კოლონიზატორია, ჩვენ კი — ყოფილი კოლონია, რომელზეც მას თავისი გავლენის აღდგენა სურს, რასაც არ მალავს და რის შესახებაც ღიად აცხადებს.

**— რუსული და აზერბაიჯანული პრესა დროგამოშვებით ავრცელებს ინფორმაციას ყარაბაღის დაბრუნების მიზნით აზერბაიჯანის მიერ ომის სავარაუდო დაწყების შესახებ. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ბაქომ ომი დაიწყოს?**

— 20 წელზე მეტია მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობს. აზერბაიჯანის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია. მინსკის ჯგუფი, რომელშიც თანათავმჯდომარეების სტატუსით აშშ, რუსეთი და საფრანგეთი შედიან, პრაქტიკულად უმოქმედოა. ცეცხლის შეწყვეტის ზოლზე მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობა სომხეთის მხრიდან წარმოებული სროლებისაგან იტანჯება. ბუნებრივია, რომ აზერბაიჯანი აძლიერებს თავის სამხედრო პოტენციალს. მას აქვს უფლება, ძალისმიერი გზით დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რატომ საუბრობენ აზერბაიჯანის მხრიდან ომის დაწყების შესაძლებლობაზე ყველაზე ხშირად რუსული საინფორმაციო საშუალებები. ამგვარი სცენარით მოვლენების განვითარება აზერბაიჯანისათვის სახიფათოა იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე სომხეთი კი არა, რუსეთია, და რუსეთი აზერბაიჯანზე სამხედრო აგრესიას ისევე განახორციელებს, როგორც 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე განახორციელა.

იმავდროულად, რუსეთი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს აზერბაიჯანში აშშ-სა და ევროპის ინტერესებს. რუსეთს ძალიან უნდა, რომ ომი აზერბაიჯანმა დაიწყოს და შემდეგ ყველაფერი ბაქოს ისევე დააბრალოს, როგორც ეს სააკაშვილს დააბრალა. თუმცა, რუსეთმა ქართულ სოფლებზე განხორციელებული სროლებითა და პროვოკაციებით თავად ჩააყენა სააკაშვილი გამოუვალ მდგომარეობაში. ვიმეორებ, მოსკოვს ძალიან უნდა, რომ ომი ბაქომ დაიწყოს. ეს კრემლისათვის საბაბი იქნებოდა, წერტილი დაუსვას აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას. ეს რუსეთს არ გამოუვიდა საქართველოში და აზერბაიჯანის შემთხვევაშიც არ გამოუვა. ბაქოში კარგად ესმით, რომ ყარაბაღისათვის ომის დაწყება რუსეთს სამხრეთ კავკასიაში დააბრუნებდა. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ყველა შემთხვევაში აზერბაიჯანი თავისი ნაციონალური ინტერეების შესაბამისად იმოქმედებს.

**— როგორ აფასებთ სამხრეთ კავკასიაში თურქეთის გააქტიურებას?**

— ნატოს წევრობამ თურქეთი უკანასკნელ წლებში მსხვილ რეგიონულ სახელმწიფოდ აქცია. მას სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში და ახლო აღმოსავლეთშიც უკვე საკმაო გავლენაც აქვს. ფაქტია, თურქეთის პოლიტიკური წონის ზრდა აშშ-ს აღიზიანებს. ანკარა აშშ-ს მოკავშირეა, იგი მზადაა თავისი სამოკავშირეო ვალდებულებების შესასრულებლად, მაგრამ იმავდროულად იგი აშშ-ს მხრიდან თურქეთის მიმართ შესაბამის მოქმედებას ითხოვს. აშშ-მ ანგარიში უნდა გაუწიოს ანკარას. ამერიკის კონგრესში სომხეთა გენოციდის საკითხის განხილვა კონგრესის სირცხვილია. ვაშინგტონმა თავი უნდა დაანებოს სომხეთა გენოციდის აღიარებით ანკარის დაშანტაჟებას და თავის მოკავშირესთან ურთიერთობები სხაგვარად უნდა ააგოს. სამხრეთ კავკასიაში თურქეთის გააქტიურება რეგიონში სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოში მიმდინარე პროცესებს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივას?**

— ამას წინათ გახლდით საქართველოში და ძალიან მომეწონა ის, რაც თქვენთან ხდება. მიმაჩნია, რომ საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამყარებაში. კოლეგებისა და პოლიტიკოსების გარდა მე მქონდა შესაძლებლობა უბრალო ადამიანებს გავსაუბრებოდი. მიმაჩნია, რომ საქართველო სწორ გზაზე დგას. რუსეთი ძალიან ინანებს იმას, რაც მან საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მოიმოქმედა და შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

დარწმუნებული ვარ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდება. ამის იმედს კი ის მაძლევს, რომ ის ქვეყანა, რომელმაც სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტები გააღვივა, ყველა სფეროში ძირისკენ მიექანება. მაშინ როცა რუსეთის დაუძლურება პიკს მიაღწევს, სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტები დასრულდება.

**კობა ბენდელიანი.**

## დედამიწის ზურგზე




**ალ-ქაიდამ ინტერნეტში პროპაგანდა დაიწყო, გამოუშვა ინგლისურენოვანი ჟურნალი**

ჟურნალის რედაქტირებას (მისი სახელწოდებაა „შთაგონება“) აწარმოებს ორგანიზაციის იემენის უჯრედი. სპეციალისტების აზრით, ინტერნეტპროპაგანდის ამოქმედება მეტყველებს იმის შესახებ, რომ უპილოტო თვითმფრინავებიდან საჰაერო დარტყმებით დასუსტებული ორგანიზაცია ცდილობს, გადმოიბიროს თავისკენ ხალხი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

* * *

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს ყველაზე დიდი ზღვის მტაცებელი ცხოველი — ეს არის კბილებიანი კაშალოტი, რომელიც ვეშაპებზე ნადირობს**



უზარმაზარი — 30 სანტიმეტრამდე კბილებიანი კაშალოტი ცხოვრობდა ოკეანეებში 12-13 მილიონი წლის წინათ, იტყობინებიან მეცნიერები. მათ ამ სახეობას „ლევიათან მელვილი“ უწოდეს ზღვის ურჩხულის — ვეშაპ მობი დიკის შესახებ წიგნის ავტორის გერმან მელვილის აღსანიშნავად.

* * *

**მეორე კატეგორიის ტროპიკული ქარიშხალი „ალექსი“ თავს დაესხა ტეხასსა და მექსიკას**

გრიგალისებური ქარის ძალამ გადააჭარბა 130 კილომეტრს საათში, საგრიგალო ფრონტის მოცულობამ შეადგინა 280 კილომეტრი. „ალექსი“ მოძრაობს დასავლეთის მიმართულებით 19,2 კილომეტრის სიჩქარით საათში. მისი „ფრთების“ სიგანე 328 კილომეტრს აღწევს. რეგიონში უკვე დაიწყო კოკისპირული წვიმები და ამოვარდა უძლიერესი ქარი.

* * *

**აშშ-მ თავშესაფარი მისცა „ჰამასის“ ერთ-ერთი ლიდერის შვილს**

სასამართლოს სხდომა სულ 15 წუთი გრძელდებოდა. მოსამართლემ დაადგინა, რომ 32 წლის მუსაბ ხასან იუსეფს შეუძლია დარჩეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა სათანადო შემოწმების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ შარშან ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ უარი უთხრა იუსეფს თავშესაფრის მიცემაზე, მიუთითებდა იმაზე, რომ თითქოს იგი წარმოადგენდა ტერორისტულ საფრთხეს.

* * *

**თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ისრაელის მინისტრი საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს ბრიუსელში**



მთავრობათა წარმომადგენლებმა გამართეს საიდუმლო მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის მიზნით. შეხვედრა მოიწონა ისრაელის პრემიერმა, ვინაიდან ამგვარი ინიციატივები კონტაქტების შესახებ ადრეც შემოდიოდა თურქეთიდან. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელმა კი, ვინც საქმის კურსში არ ჩააყენეს, აღშფოთება გამოთქვა.



## ჩვენი კარაბადინი

# იაკობ ლევინი: ნუ შევეჩვევით უძილობას

## ზედაპირული ძილი ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკის ფაქტორია





**ჩვენ ცუდად ვუყურებთ ძილს, ის ფუჭ უმოქმედობად მიგვაჩნია. და ჩვენი უმრავლესობა ძილს სწირავს სიფხიზლის სასარგებლოდ.**

**შურისძიებაც არ აყოვნებს, მიაჩნია რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სომნოლოგიური ცენტრის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს იაკობ ლევინს.**

### სახიფათო ეკონომია

**– ბატონო იაკობ, ეს მართალია, რომ ჩვენ გაცილებით ნაკლები გვძინავს, ვიდრე გასულ და იმის წინა საუკუნეებში?**

– დიახ. თანაც სხვაობა არსებითია. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიანგარიშეს: თითოეულმა ამერიკელმა კვირაში დაკარგა 3 საათი ძილი – მან ეს დრო სიფხიზლეს მიუმატა. ხომ გახსოვთ ოსტაპ ბენდერის შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენ ყოველთვის გვეჩვენება, რომ კიდევ მოვასწრებთ გამოვიძინოთ სათივეზე“. მაგრამ თქვით გულახდილად: ერთი უძილო ღამის შემდეგ გიძინიათ იმდენი, რამდენიც გინდოდათ? ალბათ, არა. იმისთვის კი, რომ აღმოფხვრათ ის ცუდი, რაც ორგანიზმში ხდება ერთი უძილო ღამის შემდეგ, ხომ ძილის ორი სრულფასოვანი ღამეა საჭირო. თუ კაცი რეგულარულად მუშაობს ღამღამობით, ის ძალიან უძილოა.

**– ალბათ, ძილისადმი ცუდი დამოკიდებულება გასაგებია: კაცმა არ იცის, რისთვის სჭირდება მას 8 საათი გაატაროს ლოგინში?**

– მართლაც, ძილი ორნაირია: ნელი და სწრაფი. პირველის მიზანია, განსაკუთრებით დელტაძილისა (მისი ყველაზე ღრმა ნაწილისაძ, – მოაგროვოს ენერგია, რომელიც სიფხიზლეში დაკარგა. ამ დროს ჩვენი შინაგანი ორგანოები ანგარიშს აბარებენ ტვინს თავისი მდგომარეობის შესახებ. სწრაფი ძილის ამოცანებია – გადაამუშაოს სიფხიზლეში მიღებული ინფორმაცია, გადაიყვანოს ხანგრძლივი გენეტიკური მეხსიერება მოკლევადიანში და შექმნას მთლიანი ქცევის პროგრამა. სწრაფი ძილი გვეხმარება მოვიფიქროთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ დროის გარკვეულ პერიოდში.

**– მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ ძილი საჭიროა, რათა დროებით გამორთოს ყველაზე ენერგოშემცველი ორგანო – ტვინი.**

– ეს არ არის სწორი. ძილის დროს ისვენებს მხოლოდ ძვალკუნთოვანი სისტემა. მაგრამ ძილის დროსაც ხომ ვტრიალებთ ერთი გვერდიდან მეორეზე. ტვინი კი ძილის სხვადასხვა სტადიაზე აქტიურად მუშაობს, რასაც პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია ადასტურებს. მაგრამ ძილში შრომობენ მისი სხვა სტრუქტურები, და ურთიერთობანი მათ შორის ეწყობა უფრო სხვაგვარად, ვიდრე სიფხიზლის დროს. ტვინი რომ გამოირთვებოდეს, მაშინ როგორღა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ბევრმა დიდმა ადამიანმა სიზმარში ნახა თავიანთი აღმოჩენები? მენდელეევმა სიზმარში ნახა თავისი პერიოდული სისტემა. მხედართმთავარი ჟუკოვი ამბობდა, რომ ძინავს მანამ, სანამ არ ნახავს პრობლემის გადაჭრას. საიდუმლო ისაა, რომ სწრაფი ძილის ფაზაში ტვინში დიდი ოდენობის ძერძიან ველებს შორის მყარდება მოულოდნელი კავშირები, და ისინი უფრო უცნაურია, ვიდრე სიფხიზლის დროს. ეს ძნელსაცნაურობა წარმოშობს სიზმარს და აღმოჩენებსაც.

**– რით არის საშიში გამოუძინებლობა?**

– მის გამო უარესდება ყურადღება, მეხსიერება (ხანმოკლე, უწინარეს ყოვლისაძ. არაღრმა ძილი – ინსულტისა და მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკის დადასტურებული ფაქტორია. კაცს, ვისაც ცუდად და ცოტა სძინავს, ემართება სტრესი. მას ცუდი იმუნიტეტი აქვს. ხშირად უვითარდება დეპრესია.

**– დაავადებანი ძილში შეიძლება მივიღოთ?**

– ასეთი რამ ხდება. და საკმაოდ ხშირადაც: კაცი საღამოს წვება ლოგინში საღი, ჯანმრთელი, დილით კი გრძნობს ტკივილს გულის არეში. ანდა ხელი, ფეხი აღარ უმუშავებს. კანონზომიერება ასეთია: ავადმყოფობა, რომელიც ვითარდება ძილში, ყოველთვის უფრო მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე დღისით დაწყებული. მიოკარდიუმის ინფარქტისა და ინსულტისა, რომლებიც ადამიანს ძილში ემართებათ, მკურნალობაც უფრო რთულია. აი კიდევ ერთი საბაბი იმისთვის, რომ დავიცვათ ძილი.

### მარტოობის შიში

**– რამდენი უნდა გეძინოს?**

– ერთს ცოტაც ჰყოფნის, რომ გამოიღვიძოს კმაყოფილმა, მხიარულმა, აქტიურმა. მეორეს – უნდა 9-10 საათი. მაგრამ ფიზიოლოგიურად ნებისმიერ ორგანიზმს სჭირდება სულ ცოტა 5-6 საათი. დანარჩენი კი – პიროვნების მოთხოვნილებაა. ამიტომ თუ ადამიანი 5-6 საათის ძილის შემდეგ მაინც უკმაყოფილოა ამით, ძილის პრეპარატები მისთვის, ალბათ, არ იქნება ეფექტიანი.

**– რატომაა, რომ სიბერეში ხალხს უფრო ცუდად სძინავს?**

– მათ ენერგეტიკის აღდგენის ნაკლები მოთხოვნილება აქვთ, იცვლება მათი ფიზიოლოგიაც – ის ბერდება, ისეთი აქტიური არ არის ტვინიც. შესაბამისად, ძილის მოთხოვნილებაც ასაკთან ერთად მცირდება.

**– ყველამ იცის, თუ როგორ უნდა ემზადებოდეს ძილისთვის – მსუბუქი ვახშამი, საღამოს გასეირნება, საძინებელი ოთახის კარგად განიავება, არ უყუროს საღამოს ტელევიზორს... მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ერთეულები ასრულებენ ამ რეკომენდაციებს. თუ ესენიც არ გვეხმარება?**

– ზოგჯერ ჩვენს პაციენტებს უკვირთ: „რატომაა, რომ სახლში ასე ცუდად მძინავს, ლაბორატორიაში კი, როდესაც თავზე უამრავი ელექტროდი გადევს, გითვალთვალებენ ვიდეოკამერები – შესანიშნავად?“ ზოგჯერ მიზეზი სრულიად მოულოდნელია. მაგალითად, ურთიერთობის დეფიციტი. მყავდა რამდენიმე პაციენტი, რომლებსაც სახლში საშინლად ეძინათ – მარტოობის გამო. ცენტრში კი მედიცინის მუშაკთა კონტროლის ქვეშ ეძინათ შესანიშნავად, ვინაიდან გვერდით ხალხი იყო.

ანდა სხვა ვითარება – სახლის ლოგინის შიში, ვინაიდან, როცა მასშია, ადამიანს უმალვე ახსენდება ცოტა ხნის წინანდელი სექსუალური წარუმატებლობა, რაც იწვევდა ძილის მოშლას. ზოგჯერ, პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, საკმარისია დააშორო ერთმანეთს საძინებელი და სექსი. თუ პირობები იძლევა ამის საშუალებას, პარტნიორებს თავიანთ საძინებელ ოთახებში უნდა ეძინოთ.

### პრობლემის გადაწყვეტა

**– რამდენი უძილო ღამის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანს აწუხებს უძილობა, რომელსაც მკურნალობა სჭირდება?**

– ჩვენთან ყველაზე ხშირად პაციენტები მოდიან სიტყვებით: „უკვე 10 წელია არ მძინავს“. და იშვიათად მოდიან საჩივრით, რომ ცუდად სძინავთ უკვე 4 ღამეა ზედიზედ. თუ დროზე არ მოვაგვარეთ ასეთი, ერთი შეხედვით, მარტივი პრობლემები, მეტად სწრაფად შეგვიძლია მივიღოთ ქრონიკული უძილობა. საკმარისია ცუდი ძილის სამი კვირა.

**– რა პრეპარატები უნდა მივიღოთ, თუ ძილი არ გვაქვს?**

– უმჯობესია დავიწყოთ მცენარეული საშუალებებით. სერიოზული მედიკამენტები კი უნდა დაგვინიშნოს სომნოლოგმა, ნევროლოგმა ან ფსიქოლოგმა, ფსიქოთერაპევტმა. მაგრამ იძულებული ვარ ვაღიარო, რომ რიგითი ექიმები ცუდად არიან ორიენტირებული ამ პრობლემაში. სამწუხაროდ, ასეთი სამსახური ჩვენში იშვიათობაა.

**– რას ურჩევდით მშობლებს, რომელთა ბავშვებსაც ცუდად სძინავთ?**

– საბავშვო სომნოლოგიასთან დაკავშირებით საერთოდ კატასტროფაა. რამდენი პრობლემა აქვთ პატარა ბავშვებს, რომლებსაც ცუდად სძინავთ! თუ მოზარდებისთვის არის ძილის პრეპარატი, ბავშვებისთვის ის არ არის: არ არის გამოკვლევები ამ დარგში. ამიტომ პატარებს ძალიან სჭირდებათ ფსიქოლოგის დახმარება.

**– თუ არის დღეს ძილის პრეპარატები, შეჩვევას ხომ არ იწვევენ?**

– ისე, ასპირინსაც კი შეიძლება შეეჩვიო. თუ არის საშუალება, რომ გავძლოთ ძილის წამლის გარეშე, ჯობია, ის არ მივიღოთ. მაგრამ თუ შევადარებთ დამოკიდებულებას თანამედროვე ძილის წამლებსა და მათს წინამორბედებს შორის, რასაკვირველია, თანამედროვეს ის გაცილებით მეტი აქვს. ახალი წამლები შეიძლება მივიღოთ მოთხოვნილების მიხედვით. მაგალითად, ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერ სტრესს მისი ორგანიზმი უპასუხებს უძილო ღამით, მაგრამ მას ხვალ გამოცდა აქვს. მიიღებს აბს და გაიღვიძებს მშვიდად, მხიარული განწყობით, ვინაიდან ახალი პრეპარატები სწრაფად მოქმედებენ და სწრაფად გამოდიან ორგანიზმიდან, არ არღვევენ ძილის სტრუქტურას.

**– თუ სამუშაო დღის დროს გვეყვინთება, რა უნდა ვქნათ?**

– სავსებით გასაგებია, რომ სამუშაო დღის განმავლობაში გჭირდება 15 წუთის ძილი. თუ ასეთი საშუალება არის – წასთვლიმეთ, თუნდაც სამუშაო ადგილზე. მაგრამ აქ უნდა გამოიჩინო სიფხიზლე: დღის ძილი შეიძლება მეტყველებდეს დაავადების – ობსტრუქციული აპნოძილის (სუნთქვის შეჩერება ძილშიძ შესახებ, რომელიც სამკურნალოა და უნდა ვუმკურნალოთ კიდეც.

ДОРОВЬЕ



### ვიცხოვროთ საუკუნე-ნახევარი!

**პლანეტის ყველაზე ხანდაზმულ მცხოვრებად ითვლება 157 წლის ტურინა ინდონეზიიდან.** ეს ქალბატონი დაიბადა 1853 წელს სამხრეთ სუმატრაზე. მისი ასაკის ერთ-ერთი მოწმეა ამჟამად ცოცხალი მისი 108 წლის ქალიშვილი.

ასეთი ხანდაზმული ტურინა ძველებურად ართმევს თავს საოჯახო საქმეებს, აქვს კარგი მეხსიერება, მხედველობა და სმენა. მან იცის ჰოლანდიური ენა, და ამას აქვს თავისი ახსნა: 1945 წლამდე ინდონეზია ჰოლანდიის კოლონია იყო.

### დოზას ნუ გადააჭარბებთ!

**კალციუმის ზედმეტობა მავნებელია ჯანმრთელობისთვის, გვაფრთხილებენ ამერიკელი ექიმები.** ბევრი ჩვენგანი ღებულობს კალციუმის ვიტამინური დანამატების, როგორც ოსტეოპოროზის პროფილაქტიკის საშუალების, სახიფათოდ მაღალ დოზებს „დ“ ვიტამინის ისევე მაღალ დოზებთან შეხამებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის ამაღლება და თირკმლის უკმარისობაც კი. მკვლევარები დაბეჯითებით გვირჩევენ, შევზღუდოთ კალციუმის მოხმარება 1,2-1,5 გრამით დღე-ღამეში – სწორედ ასეთი ოდენობითაა სასარგებლო ეს ვიტამინი ორგანიზმისთვის.

### მშობიარობის დასაწყისი

**იმ ქალებს, ვინც თავად დაიბადნენ დროზე ადრე, 60 პროცენტით მეტი აქვთ პირველი მშობიარობის ვადამდელი დაწყების რისკი, აჩვენებს ბრიტანელი მეცნიერების გამოკვლევები.** შემდეგი მშობიარობის დროს რისკი 50 პროცენტით მცირდება. მეცნიერები ემყარებოდნენ სტატისტიკას, რომელიც შეაგროვეს 1948 წლიდან 2008 წლამდე: ისინი ვარაუდობენ, რომ მიზეზი შეიძლება იყოს გენეტიკური წინასწარგანწყობა მოვლენათა ასეთი განვითარებისადმი.



### მოვუსმინოთ და მოვეშვათ

**ბრიტანელმა მეცნიერებმა მოიფიქრეს ნერვული პაციენტების დამამშვიდებელი ახალი ხერხი.** გენერატორებისა და საყურისებისგან შემდგარი სპეციალური მოწყობილობა გამოსცემს ტალღებს გარკვეულ სიხშირეზე, რისგანაც პაციენტი მშვიდდება და ვარდება ღრმა რელაქსაციის მდგომარეობაში სიფხიზლისა და ძილის საზღვარზე. ამას გარდა მის ორგანიზმში აქტიურ გამომუშავებას იწყებს სეროტონინი და დოპამინი.

ტვინის „რელაქსატორი“ შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ სტომატოლოგებისადმი პათოლოგიური შიშის, არამედ პოსტტრავმატული შოკის მკურნალობის, უძილობის, გაზრდილი შეშფოთების დროსაც.



სხვა გაზეთიდან

# ევროპული გეი-ალლუმი

***როდესაც 2009 წლის თებერვალში ისლანდიის პრემიერ-მინისტრი იოჰანა სიგურდარდოტირი გახდა, მთელი მსოფლიოს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა: „პირველად მსოფლიოში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პოლიტიკოსი ხდება მთავრობის ხელმძღვანელი“. გამონაკლისი თავად ისლანდიის პრესა იყო. აღინიშნა ხაზგასმით მხოლოდ, რომ ქვეყნის ამომრჩევლებმა 67 წლის სიგურდარდოტირი ყველაზე შესაფერისი პოლიტიკოსი იყო ამ მაღალ თანამდებობაზე. ის, რომ 2002 წელს მან სამოქალაქო ქორწინება გააფორმა სხვა ქალთან, ისლანდიელებს აშკარად არ აინტერესებდათ. „მისი შეხედულებანი სექსზე, — აღნიშნა რეიკიავიკის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალბატონმა მარგეტ ბიორნსდოტირმა, — ჩვენს ქვეყანაში განხილვის საკითხი არაა“.***

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისადმი ასეთი ლიბერალური დამოკიდებულება თუ ნორმა არა, ჩვეულებრივი მოვლენაა. თერთმეტი ასეთი მამაკაცი და ქალი ინგლისის პარლამენტის წევრია, ორი მათგანი კი — კაბინეტისა. ერთი წლის წინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ კულტურის მინისტრად დანიშნა ფრედერიკ მიტერანი — ტელეწამყვანი-გეი. სხვათა შორის, პარიზის მერი ბერტრან დელანოე, ვის შესახებაც საუბრობენ, რომ მან შეიძლება თავისი კანდიდატურა წამოაყენოს პრეზიდენტის არჩევნებზე საფრანგეთში 2012 წელს, ასევე ჰომოსექსუალისტია.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გუიდო ვესტერველე ბუნდესტაგის ამასწინანდელი არჩევნების შემდეგ გერმანიის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. მას ყოველთვის თან ახლავს „სამოქალაქო ქმარი“.

გერმანელი გეების ელიტას მიეკუთვნებიან ბერლინისა და ჰამბურგის ბურგომისტრები.

ბერლინის ქალაქის თავი კლაუს ვოვერაიტი, რომელმაც მოიგო 2001 წლის არჩევნები, მიიჩნევს, რომ მისი მისამართით წამოსულმა ბრალდებებმა არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ხელი კი არ შეუშალეს მის არჩევას, არამედ დაეხმარნენ კიდეც, ვინაიდან „ბევრი ხალხი აფასებს პატიოსნებას“. საჯარო ღონისძიებებზე ვოვერაიტი ხშირად ჩნდება თავისი ბოი-ფრენდის თანხლებით. ყოველწლიური „ლოვ პარადე“-ები ბერლინში, რომლებშიც მონაწილეობს ათასობით ადამიანი, თავიანთი გულღიაობით სრულიად შეესაბამება ბურგომისტრის პოზიციას. მისი ლოზუნგია: „მე გეი ვარ, და ეს ძალიან კარგია!“



კლაუს ვოვერაიტი „მეგობართან“

საზოგადოებაში შეხედულებათა განვითარებამ ქორწინებისა და ოჯახის საკითხებში თავისი ცხოვრებისეული პოზიციის თავისუფალი არჩევნების უფლებაზე მიგვიყვანა ახალ კრიტერიუმებამდე ევროპის სახელმწიფოების კანონმდებლობაში. 18 ქვეყანაში კანონით ნებადართულია ერთსქესიანი სამოქალაქო ქორწინებანი, 9 ქვეყანაში გეის წყვილებს ნება ეძლევათ, იშვილონ ბავშვები. შვედეთის ეკლესიის ხელმძღვანელობამ დაუშვა თავის ქვეყანაში ერთი სქესის წყვილთა ჯვრისწერა.

პარიზის მერის მოადგილე ქრისტოფერ ჟერარი მიიჩნევს, რომ ადამიანებს შორის ამგვარ ურთიერთობათა ლეგალიზაცია იწვევს „სრულ პატივისცემას“. ჟერარსა და მის პარტნიორს ქორწინების 13 წლის სტაჟი აქვთ, მათ ორი ბავშვი იშვილეს: „ახლა გეებს განიხილავენ არა მხოლოდ როგორც პარტნიორებს, არამედ როგორც მშობლებსაც“.

ამერიკის საზოგადოებაშიც ხდება ცვლილებანი ჰომოსექსუალიზმისადმი დიდი მოთმინების თვალსაზრისით. „პიუ რესირჩ სენტას“ მონაცემებით, მოსახლეობის 49 პროცენტი „ნორმალურად მიიჩნევენ მის არსებობას“. სხვათა შორის, ამერიკა ევროპასთან სად მოვა — ევროპაში ისეთი მოქალაქეები, რომლებიც „ნორმალურად მიიჩნევენ მათს არსებობას“, 80 პროცენტზე მეტია.

თუმცა ევროპული მომთმენობის სკალა ერთობ განსხვავებულია. ლიდერობენ საფრანგეთი, ესპანეთი და გერმანია. აქ მოსახლეობის დიდი ნაწილი (81-დან 86 პროცენტამდეძ ჰომოსექსუალისტებს მიიჩნევენ არა „აუტსაიდერებად“, არამედ საზოგადოების შემადგენელ ნაწილად. ინგლისსა და იტალიაში თანახმათა პროცენტი მცირდება (65-დან 70-მდეძ. კათოლიკურ პოლონეთში, იტალიისგან განსხვავებით, ჰომოსექსუალობას უარყოფს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

ამ ფაქიზი პრობლემისადმი დამოკიდებულების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არის მეტად პირობითი მონაცემები. ჩინეთში მოსახლეობის 17 პროცენტი მხარს უჭერს სექსუალური ორიენტაციის გამოვლინების თავისუფლებას, 70 პროცენტი კი წინააღმდეგია. იაპონიაში შესაბამისად 30 — 50-ზე. აფრიკის ნიგერიაში მოსახლეობის 97 პროცენტი „გარყვნილობის“ აკრძალვას უჭერს მხარს.

სექსუალურ უმცირესობასთან დაკავშირებით, „პრო“ და „კონტრას“ მიხედვით განაწილების ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ჟურნალმა „ტაიმმა“ გამოაქვეყნა, რუსეთში, მაგალითად, სექსუალური ორიენტაციის გამოვლინებას მხარს უჭერს 20 პროცენტი, წინააღმდეგია — 64 პროცენტი. სხვა წყაროებით, გეების თავისუფლების მოწინააღმდეგეთა რიცხვი ქვეყნის საზოგადოებაში 90 პროცენტს აღწევს. ამ პოზიციას მხარს უჭერს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია. მოსკოვის დედაქალაქის ხელმძღვანელობა და პირადად მერი იური ლუჟკოვი „თავიანთი სქესობრივი ანომალიების ნებისმიერი საჯარო დემონსტრაციის, „სიყვარულის ალლუმების“ კატეგორიული წინააღმდეგია. გეების ორგანიზაციების შესაბამისი შუამდგომლობანი აქ არაერთგზის უარყვეს, მიუხედავად ლუჟკოვის ბერლინელი და პარიზელი კოლეგების რეკომენდაციებისა.

რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობა სექსუალურ ორიენტაციას მიიჩნევს ადამიანის მხოლოდ პიროვნულ საქმედ, რომელიც საყოველთაო განხილვისთვის არ უნდა გამოვიტანოთ. რუსეთის ერთ-ერთ მთავარ გეის, მომღერალ ბორის მოისეევს პროვინციებში ხშირად სტვენით ხვდებოდნენ, მაგრამ მაღალ ტელე-პოპწრეებში ის მნიშვნელოვანი ფიგურაა. როგორც თავად მოისეევმა განაცხადა, მისი ერთ-ერთი წინაპარი, ცნობილი პიროვნება გეი იყო, და მისთვის ეს საქმე მემკვიდრეობითია. თუმცა ახლა, როდესაც მომღერალმა განაცხადა, რომ ცოლად მოჰყავს მდედრობითი სქესის პიროვნება, მოსკოვის გეი-კლუბებში შეშფოთებაა. მაგრამ 56 წლის „მანკიერმა შვილმა“ ვერ გაუძლო ამერიკელი ადელ მიხალიუკ-ტოდის, ბიზნესვუმენის, ვინც იუველური მოკაზმულობითაა დასაქმებული, ცდუნებას. ადელიმ ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი შესაძლებლობანი: „მე ისეთი სექსი ვარ, რომ შემიძლია ნებისმიერ მამაკაცს შევუცვალო ორიენტაცია. ასე რომ, რუსეთში ერთი მამაკაცით მეტი იქნება“.

ჰომოსექსუალიზმის არსის შესახებ ძველ საკითხთან დამოკიდებულება უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ ქვეყანას, აღელვებს საზოგადოებრივ შეგნებას, წარმოშობს განსჯებსა და დავებს. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თუ რამდენად მწვავე და მიუღებელია ისინი, იგი არ აპირებს მოიხსნას XXI საუკუნის მწვავე პრობლემების დღის წესრიგიდან.



გუიდო ვესტერველე „მეგობართან“



გეი-ალლუმი ბერლინში

## ჰარვი მილკის სამართლიანი სამყარო

**ყველაზე ცნობილ ჰომოსექსუალ პოლიტიკოსად ითვლება ჰარვი ბერნარდ მილკი (1930 წლის 22 მაისი — 1978 წლის 27 ნოემბერი) — პირველი ღია გეი, რომელიც აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ პოსტზე კალიფორნიის შტატში (სან-ფრანცისკოს ქალაქის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად).** თავისი აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა მილკმა დაიწყო ორმოცი წლის ასაკში, როდესაც მისი შეხედულებები და ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყანაში პოლიტიკურ მოვლენათა გავლენით და მისი მონაწილეობით 1960-იანი წლების კონტრკულტურულ მოძრაობაში.

ბევრ სხვა გეებს შორის, რომლებიც 70-იან წლებში სან-ფრანცისკოში გადასახლდნენ, მილკი ამ ქალაქში ნიუ-იორკიდან ჩავიდა 1972 წელს და დასახლდა ჰომოსექსუალისტებს შორის პოპულარულ კასტროს რაიონში. კასტროს ოლქის პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური აღმავლობის ტალღაზე, მილკს მრავალჯერ ასახელებდნენ საარჩევნო თანამდებობებზე, მაგრამ სამჯერ ის დამარცხდა. მისმა ხმაურიანმა და არტისტულმა კამპანიებმა თანდათან მოუპოვეს მას დიდი პოპულარობა და 1977 წელს მილკი აირჩიეს მუნიციპალური სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. არჩევნებში ღია გეის გამარჯვების პრეცედენტი გახდა აგრეთვე იმ უფრო ვრცელი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების გამოხატულება, რომლებიც ქალაქში მოხდა, ისეთებისა, როგორებიც იყო გეი-გაერთიანებათა პოლიტიკური გავლენის განმტკიცება, სან-ფრანცისკოს მცხოვრებთა საერთო ლიბერალიზაცია ჰომოსექსუალისტებთან დამოკიდებულებაში.

სან-ფრანცისკოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოსტზე ყოფნა მილკს მოუწია მხოლოდ 11 თვე. მისი დაჟინებული მოთხოვნით მიიღეს კანონი, რომელიც იცავდა სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს, აგრეთვე ჩაიშალა კალიფორნიის შტატის კანონის დისკრიმინაციული შესწორების მიღების მცდელობა („ბრიგტსის ინიციატივა“ძ.

1978 წლის 27 ნოემბერს ჰარვი მილკი და სან-ფრანცისკოს მერი ჯორჯ მოსკონე ტყვიით ჩაცხრილა ქალაქის საბჭოს წევრმა დენ უაიტმა. მოვლენებში, რომლებიც მოხდა მკვლელობის შემდეგ, აშკარად გამოვლინდა ის კონფლიქტი ლიბერალურ ტენდენციებს შორის საზოგადოებაში, რისი წყალობითაც მილკიმ მიაღწია გამარჯვებას.

პოლიტიკაში თავისი ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, მილკი სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნება გახდა, იქცა „წამებულად გეების უფლებებისთვის“. ჟურნალმა „ტაიმმა“ მილკი შეიყვანა „XX საუკუნის ას ყველაზე ცნობილ პიროვნებათა“ სიაში, ჰარვი მილკის სახელი ეწოდა მოედანს და ხელოვნების ცენტრს, საშუალო სკოლასა და საჯარო ბიბლიოთეკას, მას მიეძღვნა ფილმები და თეატრალური დადგმები, მის შესახებ შეიქმნა ბევრი წიგნი.

2009 წლის 30 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ჰარვი მილკი დააჯილდოვა (სიკვდილის შემდეგძ პრეზიდენტის თავისუფლების მედლით.

ენ კრონენბერგი, მისი უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორი, მილკის შესახებ წერდა:

„რა განასხვავებს ჰარვის ჩემგან ან თქვენგან? ესაა ის, რომ ის იყო წინასწარმჭვრეტელი. მან წარმოიდგინა თავისუფალი სამყარო თავის თავში და შემდეგ დაიწყო მისი შექმნა რეალურად, ყველა ჩვენგანისთვის“.

## სქესის ფილოსოფია

**ძველ საბერძნეთში — კულტურისა და ევროპული ცივილიზაციის ჭეშმარიტ აკვანში, ჰომოსექსუალურ სიყვარულს ლოიალურად უყურებდნენ.** ასეთ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა სქესის ძველბერძნული ფილოსოფია. პლატონი თავის ცნობილ თხზულებაში „ნადიმი“ ასე განმარტავს ჰომოსექსუალიზმის წარმოშობას. უმაღლესმა ღვთაებამ ზევსმა კაცობრიობა სამ თავდაპირველ სქესად დაჰყო: მამაკაცები, ქალები და ანდროგინები, რომლებიც თავის თავში აერთიანებდნენ როგორც მამაკაცების, ისე ქალების ნიშნებს. თითოეული ადამიანი ცდილობს მონახოს პროტოტიპი, ვისგანაც წარმოიშვა, შეიძინოს „ნახევარი“, ვისგანაც არის განშორებული. და ამ მთლიანობას ის აღწევს მგრძნობელური სიყვარულის მეშვეობით. ამრიგად, ჰომოსექსუალი მამაკაცები წარმოიშვნენ თავდაპირველი მამაკაცისგან, ლესბოსელები კი (მათ ძველ საბერძნეთში ტრიბადებს უწოდებდნენძ — თავდაპირველი დედაკაცისგან. ყველა დანარჩენი „ნორმალური“ ხალხი — ანდროგინისგან. ამიტომ ხედავენ ისინი თავიანთ ნახევარს საპირისპირო სქესის წარმომადგენლებში და არა თავის მსგავსებაში.

**გაზეთი „სეკრეტნიე მატერიალი“**

⊙ ჭიდაობა

# „თავისუფლების“ ხუთი ჯილდო




**ბულგარეთის ქალაქ სამოკოვში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი რუსებისა და თურქების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.**

ასპარეზობის პირველ დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 19 წლის დავით ხუციშვილი (74კ). ფინალამდე მან ზედიზედ სძლია უნგრელ პეტერ დიორდის, ბერძენ კონსტანტინ ალიოსეცკინსა და რუს ზაურ მაკიევს, გადამწყვეტ პაექრობაში კი თურქი სონერ დემირტასი დაამარცხა.

მძიმე წონაში მსგავს წარმატებას მიაღწია გიორგი საკანდელიძემ (ფოტოზე). ნუგზარ სხირელის შეგირდმა თურქი ტაჰა აკგული, ბულგარელი დანიელ იანკოვი, უკრაინელი მურადინ კუშკოვი, აზერბაიჯანელი ასლან ქებისოვი ჩამოიშორა გზიდან და ოქროს მედალს დაეუფლა.

მეორე ადგილებს დასჯერდნენ თენგიზ ჩოჩიშვილი (60კ) და ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში კონტინენტის 2008 წლის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55კ), რომლებმაც ფინალური ორთაბრძოლები, შესაბამისად, რუს ანვარ გაზიმაგომედოვთან და აზერბაიჯანელ ტოგრულ ასგაროვთან დათმეს.

50 კილოში ლაშა ტალახაძე „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდა.

⊙ ტყვიის სროლა

# „ოქროს“ სადარი „ბრინჯაო“



**ბელგრადში გამართულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის ბოლო, მეოთხე ეტაპზე უძლიერესმა ჩუბინებმა მოიყარეს თავი. სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მესამე ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც 788,3 ქულა მოაგროვა. მას ბულგარელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარია გროზდევამ (790,7კ) და ფრანგმა სელინ გობერვილემ (790,6კ) გაუსწრეს. ბრინჯაოს მედლის მიუხედავად, ქართველ სპორტსმენს სუპერთასის გათამაშებაში მონაწილეობის პატივი ერგო, რადგან ბულგარელსა და ფრანგს ეს უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდათ.**

ნინო სალუქვაძემ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაშიც მოსინჯათ ძალები, მაგრამ იქ მე-8 ადგილს ვერ გასცდა. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. გობერვილე (487,5კ), 2. ანტუანეტა ბონევა (ბულგარეთი, 487,4კ), 3. ოლენა კოსტევიჩი (უკრაინა, 487,3კ). სერბეთის დედაქალაქში პნევმატური პისტოლეტით ლევან ქადაგიძემაც იასპარეზა. 568 ქულით მან 84 მონაწილეს შორის 63-ე ადგილი დაიკავა.

წლეულს აგვისტო-სექტემბერში მიუნხენი ტყვიის მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, ხოლო ორი თვის შემდეგ იქვე მსოფლიო სუპერთასი გათამაშდება. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ორივე შეჯიბრებაზე მოსინჯავს ძალებს.

⊙ უიმბლდონი

# ფავორიტები დაიფრინეს

**უკვე გაუწყეთ, რომ ინგლისის დედაქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელთა პრესტიჟულ ტურნირზე სენსაცია სენსაციას მოსდევს. ქალთაგან მეოთხედფინალში ვენუს უილიამსი და კიმ კლაისტერსი გამოაკლდნენ შეჯიბრებას, ვაჟებში კი უიმბლდონის მოქმედმა ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა გადაინაცვლა მაყურებლებში.** ჩეხმა ტომაშ ბერდიხმა ოთხ სეტში საკმაოდ დამაჯერებლად სძლია ფედერერს – 6:4, 3:6, 6:1, 6:4. საგულისხმოა, რომ 2002 წლის შემდეგ როჯერი უიმბლდონის ფინალში შვიდჯერ გავიდა და ექვსჯერ მთავარი პრიზი მოიპოვა, ამჯერად კი მე-12 ნომრად განთესილ მეტოქესთან დამარცხდა.



იყოჩაღა ენდი მიურეიმ (ბრიტანეთი), რომელმაც ჟო ვილფრიდ ცონგას (საფრანგეთი) სძლია 3:1. პირველი და მეორე პარტია ძალიან დაძაბული გამოდგა, რაზეც ანგარიშიც მოწმობს: 6:7(5) და 7:6(5), მომდევნო ორი ხელი კი მიურეიმ საკმაოდ იოლად მოიგო – 6:2, 6:2.

ნახევარფინალში გავიდნენ, ასევე, ტაივანელი იენ ჰსუნ ლუს მძლეველი ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) და ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ესპანელი რაფაელ ნადალი, რომელმაც მეოთხედფინალში შვედი რობინ სიოდერლინგი დაამარცხა – 3:6, 6:3, 7:6, 6:1.



⊙ ჩოგბურთი

# ევროპა უხმობს

**წლეულს, 19-25 ივლისს, სხვადასხვა ასაკის ჩოგბურთელთა ევროპის პირველობები გაიმართება. 14-წლიანებს ჩეხეთი უმასპინძლებს.** ქართველთაგან იქ ლიზი ნადიბაიძე, ირინე ყარანგოზიშვილი, შოთა მეფარიძე და ალექსანდრე ბაკში იასპარეზებენ. **16-წლიანები** მოსკოვში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მთავარი ჯილდოებისთვის ჩვენებურთაგან ანი გოგვაძე, ბარბარე ერისთავი, ნიკა დოლიძე და მიხეილ ხმიადაშვილი იბრძოლებენ. **18-წლიანებში** (შვეიცარია) მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვეყოლება – გიორგი ცივაძე.



⊙ ინტერნეტიდან



## ფიფამ ოთხი მსაჯი გადააყენა

**ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციამ (ფიფამ) მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მომსახურებიდან გადააყენა ოთხი მსაჯი, უხეში შეცდომები რომ დაუშვეს.**

ოთხშაბათს გამოქვეყნებულ იმ მსაჯთა სიაში, ვინც მუნდიალის დანარჩენ მატჩებს მოემსახურებიან, არ არიან ურუგვაელი მსაჯი **ხორხე ლარიონდია,** რომელმაც თავის თანაშემწეებთან ერთად არ ჩათვალა ინგლისელების მიერ გერმანიის ნაკრების კარში გატანილი გოლი, იტალიელი **რობერტო როზეტი,** რომელმაც „ვერ დაინახა“ არგენტინელი კარლოს ტევესის თამაშგარე მდგომარეობა მექსიკელებთან პირველი ბურთის გატანის დროს, სიაში არ არიან აგრეთვე მალელი **კომან კულიბალი,** რომელმაც არ ჩათვალა აშშ-ს მესამე, გამარჯვების გოლი სლოვენიის კარში და ფრანგი **სტეფან ლანუა,** უსამართლოდ რომ გააძევა ბრაზილიელი კაკა მეორე ყვითელი ბარათისთვის.

ყოველივე ამის გამო ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ბოდიში მოიხადა გუნდებისა და გულშემატკივართა წინაშე, ასევე გადაისინჯება გადაწყვეტილება სადავო საკითხებზე ვიდეოჩანაწერების გამოყენების შესახებ.

## საფრანგეთის იმიჯის შეურაცხყოფისთვის

**სწორედ ამ მოტივით გამოიძახეს საფრანგეთის ეროვნული კრების კულტურისა და განათლების საკითხების კომისიაზე ფეხბურთში ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი რაიმონ დომენეკი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟან-პიერ ესკალეტი (თუმცა მან ორშაბათს განაცხადა გადადგომის შესახებ, მაგრამ ეს ძალაში შევა დღეიდან, ფედერაციის საბჭოს თანხმობით).**



როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, ფრანგული ფეხბურთის ეს ორი თავკაცი გამოიძახეს მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყნის ნაკრების ცუდი თამაშის გამო კი არა, არამედ მის მიერ „საფრანგეთის იმიჯის შეურაცხყოფისთვის“. იგეგმებოდა, რომ განხილვა იქნებოდა ღია, მაგრამ წინა დღეს, საღამოს რვა საათზე საპარლამენტო კომისიაში შევიდა ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური წერილი, რომლითაც ეს ორი მოწვეული პიროვნება აცხადებდა, რომ მზად არიან პასუხი გასცენ მხოლოდ დახურულ კარსმიღმა (დომენეკი კი მოითხოვდა მის პრესისგან დაცვას).

თუმცა მაინც გამოჩნდა დეპუტატი ლეონელ ტარდი, რომელიც პირდაპირ გადასცემდა სხდომის მიმდინარეობას ინტერნეტში, ვიდრე „წითელმა ბარათმა“ არ აიძულა პორტალური კომპიუტერის გამორთვა. თუმცა მაინც მოასწრო იმის თქმა, რომ არაფერი ახალი დომენეკსა და ესკალეტის არ უთქვამთ. როგორც დეპუტატები აღნიშნავდნენ, მოსმენა ძალზე მოსაწყენი იყო.

**სურათზე: რაიმონ დომენეკი და ჟან-პიერ ესკალეტი საპარლამენტო კომისიის წინაშე.**

## გაშიშვლდებიან?!



**როგორც ამბობენ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის ვიღაცა აუცილებლად გაშიშვლდება.** ჯერ ამაზე არგენტინის ნაკრების თავკაცმა დიეგო მარადონამ თქვა – ბუენოს-აირესს შიშველი შემოვურბენო, მას „მიბაძა“ ჩილეს ტელევიზიის ვარსკვლავმა კლაუდია კოსერვამ – მან სანტიაგოში არა მხოლოდ შიშვლად სირბილი დააპირა, არამედ ტელეგადაცემების ასევე გაძღოლა. მაგრამ ჩილელ გულშემატკივრებს და ტელემაყურებლებს იმედი გაუცრუვდათ – მათი ნაკრები ბრაზილიასთან დამარცხდა (0:3), მაგრამ ლარისა რიკელმეს ტიტველად ნახვის იმედი ჯერ არ დაუკარგავთ პარაგვაელებს. 24 წლის მოდელი ეროვნული დროშის ფერებით შეღებილი აპირებს გაშიშვლებას. ახლა ის ძალზე მოშიშვლებული უყურებს ფეხბურთს სამხრეთ აფრიკაში. პაპარაცები მისი უფრო „ცხელი კადრების“ გადაღებას აპირებენ.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს სს „ქუთზარიტის“ სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით.**

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 17 ივლისს. აუქციონში მონაწილეობის მსურველმა (მონაწილემძ გაკოტრების მმართველის სახელზე უნდა წარმოადგინოს: აძ განაცხადი; ბძ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში, ბანკი რესპუბლიკა, ანგარიში №33050001, მფო 220101757; ბანკის კოდი: 204856263, ბე-ს თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი; გძ განაცხადის შემტანი ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის ქსეროასლი (აუქციონის დღეს თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობაძ; იურიდიული პირის შემთხვევაში – სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

განაცხადის წარმომდგენის მეშვეობით შეტანის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება.

მონაწილის აუქციონში მონაწილეთა ჟურნალში რეგისტრაციისთანავე გადაეცემა აუქციონში მონაწილის ბილეთი და ილებს აუქციონის მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომელიც გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიში, ბანკი რესპუბლიკა, ანგარიში №33050001, მფო 220101757; ბანკის კოდი: 204856263 ჩარიცხოს აუქციონზე მის მიერ დასახელებული თანხა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გაკოტრების მმართველს.

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითრისძ გაკოტრების მმართველთან წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ქონების შესაძენად აუქციონზე მის მიერ დასახელებულ თანხას, მასთან არ გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

გასაყიდ ქონებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია 10 სთ-დან 18 სთ-მდე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელ: 877 77 28 88.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 17 ივლისს 12 საათზე. მის. ქუთაისი, სს „ქუთზარიტი“ – მდებარე ქუთაისი, წერეთლის ქ. 170ა, ადმინისტრაციულ შენობაში.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**
**სს „ქუთზარიტი“ – მდებარე ქუთაისი, წერეთლის ქ. 170ა.**

| ნომერი | ქონების დასახელება | ტექნიკური დახასიათება და მდგომარეობა | რაოდენობა | ფასი ლარში |
|---|---|---|---|---|
| 1 | ტრანსფორ.მიწის ნაკვეთით 720მ$^2$ | | | 60000 |
| 2 | კარადა ხის | | 1ც. | 29,65 |
| 3 | სავაჭრო ჯიხური | | 2ც. | 93.81 |
| 4 | რეაქტორი (ცისტერნა) | | 1ც. | 1619.14 |
| 5 | საავტომობილო გზა | | 1 | 1594.68 |
| 6 | ტრანსფორმატორი ფიდერის | | 2ც. | 600 |
| 7 | სურიკი | | 52კგ. | 78 |
| 8 | პლაფონი | | 2540ც. | 1041.80 |
| 9 | ქაღალდის პარკი ნახმარი | | 520ც. | 209.48 |
| 10 | თერმოპლასტი | | 14930კგ. | 12452 |
| 11 | მიწის ნაკვეთი | | 2100მ$^2$ | 1მ$^2$-70 |

### განცხადება

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2010 წლის 27 ივლისს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების საალრიცხვო დღედ განისაზღვრა 2010 წლის 01 ივლისი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება;
2. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და შპს „ვისოლი-ანგისას“ შეწრყმა;
3. აუდიტორის არჩევა.

**საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, მდებარე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა.**

◉ უსამართლო სამართალი

# რატომ მოიპარა ადვოკატმა... ჭიქა?

**ბევრი ადვოკატი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, თვით სასამართლოს სხდომაზეც კი, სასწრაფოდ მიარბენინებენ ექსპერტიზაზე ნარკოლოგიურში, საიდანაც დაჩქარებულ ვადებში მოდის პასუხი, რომ საეჭვო პიროვნება არის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ.**

ადამიანის უფლებების დამცველები დააკვირდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თვით შსს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები „იანუსობენ“. დაკითხვაზე მოსულ მოქალაქეს თავაზიანად სთავაზობენ წყალს, წვენს. ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, პირისთვის სრულიად მოულოდნელად, იგი მიჰყავთ ნარკოლოგიურში, სადაც აღმოჩნდება, რომ განიცდიან ნარკოლოგიურ თრობას, იგივე მეთოდებია სასამართოლზე მიყვანილის მიმართაც.

როგორც ადვოკატი რუსუდან ქორჩილავა აღნიშნავს, მსგავსი ფაქტები მის პრაქტიკაშიც ყოფილა. მაგრამ წალენჯიხელი გია რურუას ამბავი განსაკუთრებულია. იგი, ნაბახუსევი, მეზობლიდან მოდიოდა და ბოთლით წყალს სვამდა. პოლიციამ ის გააჩერა, მანქანაში ჩაისვა და რაიონულ განყოფილებაში წაიყვანა. გზაში რურუას ბოთლი წაართვეს. პოლიციის შენობაში მან წყალი მოითხოვა. რურუამ დალია თუ არა, ნარკოლოგიურში წაიყვანეს, ეს მაშინ, როდესაც საათნახევრიანი წინასწარი დაკითხვის დროს ამის გაკეთება არავის მოუგონებია.

ადვოკატმა ქორჩილავამ როგორღაც მოახერხა და მაგიდიდან, სადაც ერთჯერად ჭიქაში დაუსხეს წყალი როგავას, ჭიქა მოიპარა. ცოტა ხანში ნარკოლოგიურიდან პასუხი მოვიდა, რომ რურუა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო.

დაკავებულის დამცველმა მოპარული ჭიქა დამოუკიდებელ ექსპერტიზაზე წარადგინა, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ ერთჯერად ჭიქაში მეტადონის ხსნარი ესხა:

რურუას სასამართლო პროცესი დაწყებულია (იგი 1992 წელს არის ნასამართლევი სულ სხვა სახის დანაშაულზეძ. მის ადვოკატს დიდი იმედი აქვს, რომ ჩვენი სასამართლო გაითვალისწინებს ჭიქის პრეცედენტს. ქორჩილავა თვლის, რომ პროკურატურა მოსვენებას არ მისცემს რურუას და ადვოკატის გვერდის ავლით საპროცესო გარიგებაზე დაითანხმებენ.

ამგვარი მეთოდებით ავსებს მართლმსაჯულება ქვეყნის გამოცარიელებულ ბიუჯეტს და კიდევ უფრო ტვირთავს ციხე-კოლონიებს ახალი პატიმრებით.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ინფორმაცია

## ევრობანკი ენგურჰესს 20 მილიონით შეეწევა

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პროექტს მხარს უჭერს და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისა და მოდერნიზების პროექტის დაფინანსებას 20 მილიონი ევროთი ზრდის.**



ელექტროსადგურის რეაბილიტაციისათვის ევრობანკმა პირველი სესხი – 48.5 მილიონი აშშ დოლარი – 1998 წელს გამოყო.

რეაბილიტაციის პროექტი ევრობანკმა 2006 წლამდე გააგრძელა. სასწრაფო სარემონტო სამუშაოების გარდა დაფინანსება მოიცავდა ორი ყველაზე ადრე აშენებული აგრეგატის რეაბილიტაციას და მესამის რეკონსტრუქციას.

პროექტის ფარგლებში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის წარმადობა მინიმუმ 15 პროცენტით გაიზრდება და სამომავლოდ შესაძლებელი გახდება რეგიონალური ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება – მათ შორის თურქეთში.

კრედიტის დამატება – 20 მილიონი ევრო მოხმარდება ენგურის ჰიდროელექტოსადგურის ორ დარჩენილ აგრეგატს.

## სვანეთისკენ გზა ხსნილია

**სვანეთის მიმართულებით ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრაობა აღდგენილია, – განაცხადა მესტიის გამგებელმა გოჩა ჭელიძემ.**

– მეწყერის მიერ ჩაკეტილი ცენტრალური საავტომობილო გზა უკვე გაიწმინდა და მოძრაობა ჩვეულ რეჟიმშია აღდგენილი. რაც შეეხება მესტიის რაიონის სოფლებთან მისასვლელ გზებს, მათი გაწმენდა უახლოეს დღეებში დაიწყება, – თქვა მან.

მისვე თქმით, სტიქიის შედეგად ერთი სახლია დანგრეული, ხოლო რამდენიმე ოჯახის ეზო დაიმეწყრა, სეტყვამ კი მოსახლეობას მოსავალი გაუნადგურა.

მესტიის გამგებლის განცხადებით, სტიქიით მიყენებულ ზარალს შეისწავლიან და მოსახლეობისთვის დახმარების საკითხი შემდეგ გადაწყდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### განცხადება

**სააქციო საზოგადოება „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“ მორიგი კრების მოწვევის შესახებ**

**სს „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“ დირექტორატი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2010 წლის 03 სექტემბერს, პარასკევს, 17 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №38.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების საქმიანობის შესახებ 2008 და 2009 წლის ანგარიში;
2. 2008 და 2009 წლების მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
3. საზოგადოების ახალი წესდების მიღება;
4. 2010 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
6. სხვადასხვა.

კრებაზე მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი 2010 წლის 01 ივლისის 18 საათის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მიმდინარე წლის 24 აგვისტოდან 02 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 11 საათიდან, 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, VI სართული, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრის“ ოფისი.

კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე აქციონერები უფლებამოსილნი არიან ამ განცხადების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში ოფიციალურად მიმართონ გენერალურ დირექტორს დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (საზოგადოების წესდების 9.5 პუნქტიძ.

**ს.ს. „კ.ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი ელგუჯა გოცირიძე.**
**თბილისი, 2010 წლის 02 ივლისი.**

**საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მოქანდაკე ალექსანდრე (ალეკოძ შალუტაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 1, 2 VII, 16 სთ. დაკრძალვა 3 VII, 14 სთ. მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი №41, VI სადარბაზო.**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## ყველაფერი ყველაფერზე

### რეიგანი ოჯახის წევრებსაც კი ველარ ცნობდა



**რონალდ რეიგანი, ყოფილი მსახიობი, 1980 წელს აშშ-ს პრეზიდენტი გახდა, 1984 წელს მეორე ვადით აირჩიეს და ითვლებოდა, რომ თავისი ქვეყნის ერთ-ერთი კარგი მმართველი იყო.**

მეორე ვადა რომ დაუმთავრდა, ოჯახთან ერთად სანტაბარბარაში საკუთარ რანჩოში დასახლდა. პოლიტიკაზე საბოლოოდ აიღო ხელი, თუმცა, რადა პოლიტიკა, ისეთი მძიმე ავადმყოფობა დაემართა, უარესი რომ არ შეიძლება. ჩვენ მას უბრალოდ სკლეროზს ვეძახით და მეხსიერების მთლიანად დაკარგვასთან არის დაკავშირებული. ექს-პრეზიდენტი თავის ოჯახის წევრებსაც კი ველარ ცნობდა.

### გადადგომას რა ჯობს

**ჟორჟ ბენჟამენ კლემანსო (1841-1929წ, განთქმული პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საფრანგეთის ისტორიაში, თავის ცხოვრებაში განსაკუთრებით იმ მომენტს აღნიშნავდა, როცა გადადგომა უხდებოდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ 1906 წელს დანიშნულს, 1909 წელს გადადგომა მოუხდა და იგი არისტიდ ბრიანმა შეცვალა. კლემანსოს თუ ვენდობით, ამ ფაქტმა იგი ძალიან გაახარა: „თავიდან მოცილებამ ძალიან გამაბედნიერა. არავისთან შეხვედრა აღარ არის საჭირო, არავითარი თხოვნის დაკმაყოფილება, არაფერი, თავისუფლების გარდა“.**



გავიდა მრავალი წელი. 1920 წელს კლემანსომ პრეზიდენტის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, დამარცხდა და კიდევ ერთხელ... გაიხარა: „ოკეანიდან 30 ნაბიჯზე პატარა სახლში ვცხოვრობ. მეზალეობით ვარ დაკავებული. საკუთარი თავის შეცნობას და ფილოსოფიის შესწავლას ვცდილობ... ზამთრის ნაწილს პარიზში ვატარებ. 82 წლისა ვარ – ამით ყველაფერია ნათქვამი. თავს კარგად ვგრძნობ, გონება მუშაობს, გულსაც არ ვემდური“.

### გარეგნულად „სიკვდილს ჰგავდა“

**ასე შეუწყალებლად ექცეოდნენ გერმანელი იუმორისტი მწერლები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველ კანცლერ კონრად ადენაუერს (1876-1967წ, რომელიც ძალიან გამხდარი იყო, მაღალი, ჩავარდნილი ლოყებით, და უამრავი კარიკატურის ობიექტიც გახდა. მას ყველაზე მხცოვანსაც უწოდებდნენ კანცლერთა შორის.**



ექსპერტების აზრით, ადენაუერმა დარბეული და დამცირებული გერმანია უძრაობის მდგომარეობიდან გამოიყვანა. ხმარებაში შევიდა ახალი გერმანული მარკა, რომელიც კონვერტირებული გახდა. იგი დე გოლის პირადი მეგობარი იყო და ხელი შეუწყო ორსაუკუნოვანი მტრობის შემდეგ გერმანიისა და საფრანგეთის დაახლოებას.

### კინაღამ იმპიჩმენტი დაიმსახურა, მაგრამ გადარჩა

**ბილ კლინტონი (დაბ.1946 წელსძ არც ბევრ ამერიკელ პრეზიდენტზე უკეთესია, არც უარესი. ისე კი, ფორმალური წარმატებები ნამდვილად ჰქონდა: 1992 წელს ჯორჯ ბუშის (უფროსისძ დამარცხების შემდეგ პრეზიდენტი გახდა. ბევრს მოეწონა მისი ლოზუნგი: „მთავარი – ადამიანები არიან“. 1975 წელს იელის უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, დაქორწინდა თავის თანაკურსელ ჰილარი როდემზე, რომელთანაც შეეძინა ქალიშვილი ჩელსი. შემდეგ როდემმა გვარი შეიცვალა – დღეს იგი აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გახლავთ.**



1996 წელს ბილ კლინტონი უკვე მეორე ვადით გახდა პრეზიდენტი, 2000 წლამდე და სწორედ ამ დროს ჩავარდა დიდ შარში ქალებისადმი წრეგადასული მიდრეკილების გამო. როგორც გამოირკვა, არაერთი რომანი ჰქონდა: ჯენიფერ ფლაუერსთან, კეტლინ უილისთან, პოლა ჯონსსა და მონიკა ლევინსკისთან. პოლა ჯონსმა სასამართლოშიც კი უჩივლა „სექსუალური ძალდატანების ცდის“ გამო, მაგრამ წააგო საქმე. უფრო მარჯვე გამოდგა მონიკა ლევინსკი, რომელმაც აჩვენა თავისი კაბა სპერმის ნიშნით, რაც თურმე პრეზიდენტის ოვალურ კაბინეტში ყოფნის დროს დაეტყო.

მოამზადა **გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

## 2 ივლისი

**ხსენება წმიდა მოციქულისა იუდასი, ხორციელად ძმისა უფლისა (დაახლ. 80წ; წმიდა მოწამე ზოსიმე მხედრისა (IIწ; ღირსთა მამათა პაისი დიდისა (Vწ და იოანე განდეგილისა (VIწ.**



ამოდის 04.31
ჩადის 19.39



ამოდის 22.34
ჩადის 10.11

### დაიბადნენ:

**1877 – ჰერმან ჰესე,** გერმანელი პოეტი და მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1962 წელს.

**1879 – ჟიგმონდ მორიცი,** უნგრელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1942 წელს.

**1897 – იპეი ფუკურო,** ვეფხისტყაოსნის იაპონურად მთარგმნელი. გარდაიცვალა 1971 წელს.

**1906 – ჰანს ალბერტ ბეტე,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1919 – ვახტანგ ფალიაშვილი,** დირიჟორი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1980 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1566 – მიშელ დე ნოტრდამი (ნოსტრადამუსიძ,** ფრანგი ექიმი, ასტროლოგი და წინასწარმეტყველი.

**1778 – ჟან ჟაკ რუსო,** ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი, მწერალი, კომპოზიტორი.

**1961 – ერნესტ ჰემინგუეი,** ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1977 – ვლადიმირ ნაბოკოვი,** ამერიკელი მწერალი.

### მოვლენები:

**1774 წელი** – ფილადელფიაში მეორე კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთისგან ამერიკის გამოყოფის შესახებ.

**1900 წელი** – პარიზში გაიხსნა მეორე ოლიმპიური თამაშები.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ნორვეგია** – მეფის დღე.
**სპორტული ჟურნალისტის საერთაშორისო დღე.**
**ზამბია** – გმირების დღე.
**ბრაზილია** – სალვადორის შტატის დღე.
**კურასოა** – დროშის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8442 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2484 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7779 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9200 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +33 |
| ქუთაისი. | +21 – +28 |
| ბათუმი. | +20 – +31 |
| ზუგდიდი. | +21 – +32 |
| თელავი. | +18 – +32 |

## კადრი



## ანეკდოტები

წარწერა პოლიკლინიკაში, უროლოგის კარზე: „მხოლოდ ისე, თავის მოსაწონებლად შესვლა აკრძალულია“.

* * *

– მამი, მამი, მითხარი, რატომ არ შეიძლება ბავშვებისთვის ამ ფილმის ყურება? – ეკითხება პატარა მიხო.



– მოისვენე, დაჯექი, უყურე და თვითონ ნახავ.

* * *

– აგია ქათამი? ცარიელი ძვალი და ტყავია! – უსაყვედურებს ტიპი ოფიციანტს.
– რაო, ბუმბულიც უნდა მომეტანა?

* * *

– ამბობენ, ჭკვიანი ქალები კარგი ცოლები არ არიანო.
– რატომ?
– იმიტომ, რომ არ თხოვდებიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.